კვირეული „ვერსია“

ვერსია

№46 (1636) 23 — 29 ნოემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ მოვიქცეთ, როცა მდგმური ბინის ქირას არ გვიხდის

აღდგება თუ არა საპოლიციო გამოსახლების წესი

სკანდალური ინტერვიუ მიხეილ რამიშვილთან

რატომ ემუქრება ქონების წართმევა ცნობილ ადვოკატს და რატომ გააუქმა სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

ენმ-ს 2004 წლის კოალიციის დაშლიდან ენმ-ს დღევანდელ არეულობამდე

რას იხსენებს და რა პარალელებს ავლებს კახა კუკავა

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

„ვარდების რევოლუციის“ შოკისმომგვრელი საიდუმლო კულუარები

რა ხდებოდა თბილისში 19 წლის წინ – ყველაფერი ის, რაც დღემდე არ თქმულა

პოლიციამ თაღლითობისა და უცხო ქვეყანაში უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნის ბრალდებით ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს და ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში ოთხი პირი დააკავეს.

2000 წელს დაბადებულ ნ.მ.-ს და 1997 წელს დაბადებულ ს.ჩ.-ს ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა, რამაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი გამოიწვია.

რაც შეეხება მოსამართლის განჩინებით დაკავებულ დებს – 1980 წელს დაბადებულ ი.ს.-ს და 1990 წელს დაბადებულ თ.ს.-ს, მათ ბრალად ედებათ ორი ან მეტი პირის უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ორგანიზების გაწევა.

დანაშაულები 4-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები – ნ.მ. და ს.ჩ., სოციალურ ქსელ Facebook-ში, მათ მიერვე შექმნილ სხვადასხვა ჯგუფში, დაინტერესებულ პირებს, მომსახურების ანაზღაურების წინსწრებით გადახდის სანაცვლოდ, ყალბი საბუთების დამზადების გზით, მექსიკის გავლით, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე არალეგალურად გადაყვანას სთავაზობდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში არალეგალურად გადაყვანის მსურველი პირები წინასწარ, საფასურის სახით, გარკვეულ თანხებს საქართველოში მოქმედ სხვადასხვა კომერციულ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე რიცხავდნენ. მას შემდეგ, რაც ბრალდებულები თანხებს თაღლითურად ეუფლებოდნენ, დაზარალებულებთან კომუნიკაციას წყვეტდნენ.

გამოძიებით დადგენილია, რომ დაკავებულების დანაშაულებრივი საქმიანობით გამოწვეული მატერიალური ზიანი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს 69 080 აშშ დოლარს, 4 830 ევროსa და 6 290 ლარს.

პოლიციამ, ბრალდებულების საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტელეფონები და საბანკო პლასტიკური ბარათები. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ყადაღა დაედო დაკავებულების უძრავ ქონებას, ავტომანქანებსა და საბანკო ანგარიშებს.

რაც შეეხება ტრეფიკინგისa და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მიერ დაკავებულ დებს, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, საქართველოს მოქალაქეებს ირლანდიის ყალბ ტრანზიტულ ვიზას უმზადებდნენ, თითქოს, დუბლინის საერთაშორისო აეროპორტში ტრანზიტული მიზნით მიემგზავრებოდნენ, აეროპორტში ჩაფრენის შემდგომ კი საქართველოს მოქალაქეები ირლანდიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შედიოდნენ.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას, რამაც დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი გამოიწვია, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე სეკუნდა მუხლით, რაც ორი ან მეტი პირის უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენისთვის შესაბამისი პირობების შექმნას და ორგანიზების გაწევას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კამპანიის – „მე ვირჩევ თანასწორობას“ გახსნით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს (COE) კამპანიის – „მე ვირჩევ თანასწორობას“ გახსნით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო.

კამპანიის მიზანია დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებით გამოწვეული რისკების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე სტეფან სირბუმ, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა, ნიდერლანდების სამეფოს ელჩმა მაიკე ვან კოლდამმა, ესტონეთის რესპუბლიკის ელჩმა რიინა კალიურანდიმ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და სხვა უწყებების წარმომადგენლებმა.

ალექსანდრე დარახველიძემ ქვეყანაში თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებში სამინისტროს როლსა და პასუხისმგებლობაზე ისაუბრა. მინისტრის მოადგილემ ასევე ყურადღება გაამახვილა საზოგადოებისთვის კანონით დადგენილი უფლებებით შეუზღუდავად სარგებლობის მიზნით პოლიციის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მნიშვნელობაზე.

ალექსანდრე დარახველიძემ, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისთვის განხორციელებულ აქტივობები მიმოიხილა და ამ პროცესში ევროპის საბჭოს უწყვეტი მხარდაჭერის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დამსწრე საზოგადოებას სამინისტროს მიერ აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების შესახებ სამომავლო გეგმები გააცნო.

საინფორმაციო კამპანია ევროპის საბჭოს (COE) პროექტის – „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ – ფარგლებში ხორციელდება.

პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა კანონპროექტებს, რომლითაც მკაცრდება ცივ იარაღთან დაკავშირებული რეგულაციები

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტებს, რომლითაც მკაცრდება ცივ იარაღთან დაკავშირებული რეგულაციები.

საკანონმდებლო ცვლილებებით მკაცრდება ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებული სანქციები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, ცივი იარაღის ტარება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა, აგრეთვე, სანქციის სახით გათვალისწინებული იქნება ცივი იარაღის კონფისკაცია.

კანონპროექტის თანახმად, ცივი იარაღის ტარების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში კი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება აღნიშნული სამართალდარღვევის ერთი წლის მანძილზე, მხოლოდ მესამედ ჩადენის შემთხვევაში.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსში იზრდება სასჯელი ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 2381 მუხლის პირველი ნაწილისთვის, სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით, ნაცვლად 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთისა. ასევე, მკაცრდება პასუხისმგებლობა ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის უკანონო ტარებისათვის – ამ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა ოთხ წლამდე ვადით იქნება დაწესებული.

ინიცირებული კანონპროექტით, ცვლილება შედის ცივი იარაღის ტარების განმარტებაშიც. კერძოდ, ცივი იარაღის ტარებად ჩაითვლება ისეთი გარემოების არსებობა, როდესაც პირი ცივ იარაღს ფლობს იმგვარად, რომ შესაძლებელია მისი დაუყოვნებლივ გამოყენება.

ზემოხსენებული ცვლილება გამოწვეულია ბოლო პერიოდის პრაქტიკის ანალიზით. კერძოდ, 2022 წლის იანვარ-სექტემბერში გამოვლინდა მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტები, ამ ფაქტების მნიშვნელოვან ნაწილში დანაშაულის ჩადენის იარაღს წარმოადგენდა ცივი იარაღი. დანით დანაშაულის ჩადენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 53% მკვლელობა/მკვლელობის მცდელობის ფაქტებში ფიქსირდება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის იანვარ-სექტემბერში, პოლიციის მიერ, ცივი იარაღის ტარების ყველაზე მეტი – 3 289 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოვლინდა, ხოლო 417 ფაქტზე გამოძიება დაიწყო ცივი იარაღის უკანონო ტარებასთან დაკავშირებით.

„ვარდების რევოლუციის“ შოკისმომგვრელი საიდუმლო კულუარები

რა ხდებოდა თბილისში 19 წლის წინ – ყველაფერი ის, რაც დღემდე არ თქმულა

ნინო დოლიძე

„მინდა განვაცხადო, რომ არასდროს, არცერთი ჩემი ადვოკატისთვის არ მითქვამს, რომ ეჭვი მაქვს მოწამვლაზე. სპეკულაციები ამ თემაზე უადგილოა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სამედიცინო საზოგადოებას მხარდაჭერისთვის. ძალიან ვაფასებ მათ პროფესიულ თანადგომას. ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა მართლაც უარესდება და განსაკუთრებით დამძიმდა ამ ბოლო ორ თვეში. „ვივამედის“ ექიმები მცდელობას არ აკლებენ. მნიშვნელოვანია, მივენდოთ სპეციალისტებს და ამ საკითხის ზედმეტი პოლიტიზება არ არის საჭირო. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა ყველას“, – ეს არის განცხადება, რომელიც მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე, ზუსტად გუშინწინ, 21 ნოემბერს ანუ „ვარდების რევოლუციის“ მე-19 წლისთავამდე ორი დღით ადრე გამოქვეყნდა. ამ განცხადებით, სპეკულაციებს, რომ მიშა მოწამლეს, გარკვეულწილად, ბოლო მოეღო, თუმცა ამჯერად, ამ თემაზე მსჯელობას არ გავაგრძელებ და 19 წლის წინანდელ მოვლენებს გაგახსენებთ. გაგახსენებთ იმიტომ, რომ „ვარდების რევოლუციამ“, ვინმეს მოსწონს თუ არა, საქართველოს უახლესი ისტორია მნიშვნელოვნად შეცვალა.

ისე, მიხეილ სააკაშვილს სიმბოლოები უყვარს და შესაბამისად, ალბათ, ისიც სიმბოლურია, რომ „ვარდების რევოლუციის“ მე-19 წელს პატიმრობაში ხვდება. არადა, მაშინ, შორეული 2003 წლის ნოემბერში, როცა მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენა, მიშა, ცხადია, ვერც წარმოიდგენდა, რომ ოდესმე დადგებოდა დრო, როცა „ნარზე“ დაწვებოდა, მაგრამ ნათქვამია, არასოდეს თქვა არასოდესო.

ასე და ამგვარად: ისევ მოვიდა 23 ნოემბერი და აბსოლუტურად ყველას – „ნაცს“, „ქოცს“ თუ „შუაშისტს“ „ვარდების რევოლუცია“ გაახსენდა, გაახსენდა იმიტომ, რომ ამ ისტორიულმა მოვლენამ ვიღაცის ცხოვრება დაანგრია, ვიღაცას წარმატება მოუტანა, ვიღაც კი, უბრალოდ, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა.

იყო თუ არა 2003 წლის ნოემბრის მოვლენები ქართული პოლიტიკისთვის და, ზოგადად, ქართული სახელმწიფოსთვის ერთგვარად ათვლის წერტილი? – თუ ობიექტურად ვიტყვით, დიახ, 19 წლის წინ, სხვანაირი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო, სახელმწიფოსი, სადაც ფასადურად ყველაფერი დასავლურ-დემოკრატიული იყო, თუმცა სინამდვილეში, ხელისუფლებაში სხვა ანუ რეფორმატორების სახელით დაბრუნებულ „მოქკავშირის“ ყოფილ წევრებს კორუფციაზე, ნეპოტიზმსა თუ სხვა საბჭოურ „პრივილეგიებზე“ უარი არ უთქვამთ. ესე იგი, ქვეყანაში ფასადურად ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ გარდა იმისა, რომ ადამიანის უფლებები ირღვეოდა (ხშირად, ეს დარღვევა დანაშაულამდეც მიდიოდა), ელიტური კორუფციაც ყვაოდა, თუმცა ვინაიდან „ვარდების რევოლუციის“ 19 წლის იუბილეა, 2003-დან 2012 წლამდე განვითარებულ მოვლენებზე კი არა, იმაზე ვისაუბროთ, რაც 2003-ის ნოემბერში ხდებოდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე, ტრადიციულად, ასლან აბაშიძის „აღორძინება“ გავიდა, რაც არავის გაჰკვირვებია – მართალია, მუდმივად კატა-თაგვივით იყვნენ, მაგრამ ისინი, რომლებიც პოლიტიკურ კულუარებში კარგად ერკვევიან, ხვდებოდნენ, რომ შევარდნაძე-აბაშიძის კონფლიქტი ზედაპირული იყო და გადამწყვეტ მომენტში, ერთმანეთს აძლიერებდნენ.

ასე მოხდა, იგივე, 2003 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, როცა აჭარიდან ჩამოყვანილმა ხალხმა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დაიკავა და თქვა, რომ სააკაშვილს, ჟვანიას, ბურჯანაძესა და მათ მომხრეებს აქ არ მოვუშვებთო, თუმცა „ვარდების რევოლუცია“ მაინც მოხდა ანუ ამჯერად, ასლანი აწ განსვენებული ედუარდის „მაშველ რგოლად“ ვეღარ გამოდგა, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან, შეიძლება, ითქვას, რომ „სახლში წასვლა“ თავად შევარდნაძესაც უნდოდა. ამასთან, დღემდე გაურკვეველია, თუ რატომ ჩამოვიდა იმ დღეებში, თბილისში, რუსეთის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი, იგორ ივანოვი, რომელიც პარლამენტის წინ, აქციის მონაწილეებთან, დილით, ზურაბ ჟვანიასთან ერთად მივიდა? სწორედ ამან გააჩინა ეჭვი, რომ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლა ამერიკელების კი არა, რუსეთის ინტერესებში შედიოდა.

ქართული პრესის არქივში ამ თემაზე არაერთი მასალა მოიძებნება, თუმცა დღეს, საქართველოს სპეცსამსახურების ყოფილი გავლენიანი თანამშრომლის ინტერვიუდან ამონარიდს შემოგთავაზებთ, რომელიც ბეჭდურ მედიაში, დაახლოებით, 7-8 წლის წინ გამოქვეყნდა. რესპოდენტი ამბობს, რომ სააკაშვილი იმთავითვე ორმაგი მოთამაშე იყო და რუსებმა თავის დროზე ამერიკელებს „შეუგდეს“. ამ მოსაზრების გასამყარებლად, სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისა და, შესაბამისად, ინაუგურაციის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტის, პირველ ოფიციალურ ვიზიტს იხსენებს მოსკოვში.

„– შემიძლია, ფაქტებით დავამტკიცო, რომ „ვარდების რევოლუცია“ ამერიკული კი არა, რუსული პროექტი იყო, რომელიც, შესაძლოა, ლევან ვასაძისა და მისი რუსი მფარველის, კორპორაცია „სისტემის“ დამფუძნებლის, ევგენი ევტუშენკოვის ფულით ფინანსდებოდა.

რაც შეეხება სააკაშვილის პირველ ვიზიტს მოსკოვში, ეს ვიზიტი საქართველოს საგარეო საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, გელა ბეჟუაშვილმა და რუსეთში საქართველოს იმდროინდელმა ელჩმა, კოტე კემულარიამ მოამზადეს. ისე, სიტყვამ მოიტანა და, „ვარდების რევოლუციის“ დღეებში, თუ გახსოვთ, კოტე კემულარია მოსკოვს გაემგზავრა, თუმცა ვერ გეტყვით, იქ ვის შეხვდა... სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტის პირველი მოსკოვური ვიზიტის პროტოკოლი კი ძალიან საინტერესოა. მაშინ სააკაშვილი ისეთ ადამიანებს შეხვდა და შეხვედრები ისეთ ორგანიზაციებში გამართა, რომლებსაც ბოლო 9-10 წლის განმავლობაში, საქართველოს პოლიტიკასა თუ ეკონომიკაზე დიდი გავლენა ჰქონდათ.

– ეს შეხვედრები საიდუმლო იყო?

– ყოველ შემთხვევაში, პროტოკოლის დეტალები, თუ ვის ხვდებოდა სააკაშვილი, არ გავრცელებულა და ოფიციალურად მხოლოდ ის ითქვა, რომ პუტინს შეხვდა. ეს შეხვედრა, დაახლოებით, სამსაათნახევარი გაგრძელდა. აქედან, ზუსტად ერთი საათის განმავლობაში, სააკაშვილი და პუტინი ერთი-ერთზე საუბრობდნენ.

მოდით, პროტოკოლს გავყვეთ:

2004 წლის 10 თებერვალს, სააკაშვილი მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტში ჩაფრინდა და პირველი შეხვედრა „მგიმო“-ში ანუ საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში გამართა, რომელიც რუსული სპეცსამსახურის, კერძოდ, დაზვერვის თანამშრომლების მომზადების ძირითადი ბაზაა.

– სააკაშვილი „მგიმო“-ში კონკრეტულად ვის შეხვდა?

– იქ ორსაათიანი ლექცია წაიკითხა, რის შემდეგაც, ე.წ. ჩინურ ქალაქში, ილინკას ქუჩაზე გაემგზავრა და პრიმაკოვს შეხვდა. სხვათა შორის, იმხანად, პრიმაკოვი ედუარდ შევარდნაძესთან დაპირისპირებული იყო და „ეს ვე ერ“-ს ანუ რუსეთის საგარეო დაზვერვას ხელმძღვანელობდა. სააკაშვილისა და პრიმაკოვის საუბარი საათნახევარი გაგრძელდა. „რაო ეესის“ ცენტრალურ ოფისში კი, სააკაშვილი ჩუბაისს შეხვდა, რომელსაც, ასევე, საათნახევარს ესაუბრა. „ეხო მოსკვის“ პირდაპირ ეთერში, ერთსაათიანი გამოსვლის შემდეგ, სააკაშვილი ვლადიმერ ევტუშენკოვთან გაემგზავრა.

– ევტუშენკოვი ვინაა?

– ევტუშენკოვი აქციონერთა ფინანსური კორპორაცია „სისტემის“ დამფუძნებელია, „სისტემის“ პირველი ვიცე-პრეზიდენტი კი, ლევან ვასაძე იყო. ევტუშენკოვისა და სააკაშვილის შეხვედრას ვასაძეც ესწრებოდა.

– ექსპრეზიდენტის მოსკოვური ვიზიტის შეხვედრები ამით ამოიწურა?

დასასრული მე-4 გვერდზე

„ვარდების რევოლუციის“ შოკისმომგვრელი საიდუმლო კულუარები

მე-3 გვერდიდან

– არა. სააკაშვილი ზურაბ წერეთელსაც ესტუმრა და ამ, ასე ვთქვათ, წვეულებაზე სლავა ზაიცევი, ბელა ახმადულინა, ვინმე შახნაზაროვი, ნატალია დუროვა, ჟორეს ალფიონოვი, ცნობილი, ოდიოზური დიმიტრი როგოზინი, ასევე, მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები და რუსეთის ე.წ. „კრიმინალური სამყაროს“ ქართველი წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ.

– ამ „ავტორიტეტების“ ვინაობა თქვენთვის ცნობილია?

– სახელები და გვარები არ ვიცი, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, „დედ ჰასანის“ ჯგუფის ტიპები იყვნენ.

– ეს არაოფიციალური შეხვედრები იყო?

– დიახ. მაგალითად, პრიმაკოვსა და ჩუბაისთან შეხვედრებზე პროტოკოლში არაფერია ნათქვამი. პროტოკოლით გათვალისწინებული იყო ლექციის წაკითხვა „მგიმო“-ში და „ეხო მოსკვის“ ერთსაათიანი პირდაპირი ეთერი. სხვათა შორის, პროტოკოლში არც ზურაბ წერეთელთან სტუმრობაა მითითებული. სუფრაზე, რომელიც წერეთლის ოფისში გაიშალა, სააკაშვილი და როგოზინი ერთმანეთის გვერდი-გვერდ ისხდნენ. სიტყვა-სიტყვით გეუბნებით, რაც როგოზინმა მიშას უთხრა: „ჩვენს შორის უთანხმოება დასრულდა და ამის შემდეგ, ძალიან კარგი, თბილი ურთიერთობა გვექნება!“ როგოზინის ამ განცხადებაზე სააკაშვილს ცუდი რეაქცია არ ჰქონია. ცოტა ხანში, ის მოულოდნელად წამოხტა, სუფრა მიატოვა და „იტარ-ტასის“ პრეს-კლუბში გაიქცა. სააკაშვილის მოულოდნელი წამოხტომით, სტუმრებმა უკმაყოფილება გამოხატეს.

ეს სამდღიანი ვიზიტი იყო – მოსკოვში 10 თებერვალს ჩაფრინდა და 12-ში უკან გამოფრინდა. 11 თებერვალს, „გრანდ მარიოტში“, რუს ბიზნესმენებს, კერძოდ, „პრამიშლენნაია როსიას“ ხელმძღვანელებს შეხვდა. ამ საათნახევრიან შეხვედრას გენერალოვიც ესწრებოდა. ეს ის გენერალოვია, რომელმაც მოგვიანებით, საქართველოში „კვარციტი“ და სხვა ეკონომიკური თუ ენერგოობიექტები შეიძინა ანუ საქართველოში რუსული ფულის შემოსვლას საფუძველი სწორედ ამ შეხვედრებზე ჩაეყარა. სხვათა შორის, ყველა ამ შეხვედრას თემურ ალასანიაც ესწრებოდა და ეს გასაკვირიც არაა, რადგან მაგალითად, გენერალოვი, სწორედ სააკაშვილის ბიძის ძველი ნაცნობია. სააკაშვილი საქართველოში – ჭიათურასა და

ზესტაფონში ინვესტიციების განხორციელებაზე, რუსეთის პრეზიდენტის ეკონომიკურ მრჩეველს, ტიტოვსაც ელაპარაკა. რუსული ფული სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ნავთობისა და გაზის სექტორშიც უნდა ჩადებულიყო. სააკაშვილი რუსებს დაჰპირდა, რომ ისეთ საკანონმდებლო ბაზას შექმნიდა, რომელიც რუსულ ინვესტიციებს, საგადასახადო კუთხით, პრობლემებს არ შეუქმნიდა და თავისუფალი ოპერირების უფლება ექნებოდა. სხვათა შორის, გენერალოვი სააკაშვილის პრეზიდენტად ინაუგურაციასაც დაესწრო...

ამ ვიზიტის დროსვე, სააკაშვილი მოსკოვის წმინდა გიორგის ეკლესიაში, სადაც წარმოშობით ქართველი მამა მაქსიმე მოღვაწეობს, აფხაზეთიდან დევნილებს შეხვდა. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ, დევნილებმა ყოფილ პრეზიდენტს „მუტანტი“ შეარქვეს. თავის დროზე, ეს ტერმინი სალომე ზურაბიშვილმაც გამოიყენა.

– დევნილებმა სააკაშვილს „მუტანტი“ რატომ შეარქვეს?

– ამაზე ინფორმაცია არ მაქვს. როგორც ჩანს, მიშამ რაღაც ისეთი ჩაიდინა... ამ შეხვედრაზე სააკაშვილი ლტოლვილებს აფხაზეთში დაბრუნებას დაჰპირდა, თუმცა როგორც დააბრუნა, ვნახეთ. ყველაფერ ამის შემდეგ, სააკაშვილი კრემლში მივიდა, პუტინს შეხვდა და „ვარდების რევოლუციაში“ დახმარებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა. ასევე, მადლობა გადაუხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ პროცესებში ჩაერია და სისხლი არ დაიღვარა.

მაქვს ინფორმაცია, რომ 2004 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი-სამი დღით ადრე, თბილისში „ეფ ეს ბე“-ს მაღალჩინოსანი, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, პატრუშევის ერთ-ერთი მოადგილე იმყოფებოდა და სააკაშვილთან ორ-სამ საათიანი შეხვედრა გამართა.

– სად?

– ჩემი ინფორმაციით, ცეკა-ს ყოფილ შენობაში... რუსეთში ვიზიტისას, მიხეილ სააკაშვილი მთავრობის ხელმძღვანელს, კასიანოვსაც შეხვდა.

– ეს ინფორმაციები ვინ მოგაწოდათ?

– საელჩოს ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა.

– ჩვენთვის რომ ვთქვათ, ზემოხსენებულ ცნობებში საგანგაშო რა არის?

– ყველაფერ ამით დასტურდება, რომ ის, რასაც ეროსი კიწმარიშვილი თავის მემუარებში წერს, აბსოლუტური სიმართლეა ანუ „ვარდების რევოლუცია“, როგორც გვეგონა, ამერიკული კი არა, წმინდა რუსული სახელმწიფო გადატრიალება იყო და პუტინმა საქართველოს ხელისუფლებაში ის ძალა მოიყვანა, რომელიც ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რაც წყალს რუსეთის წისქვილზე ასხამდა. ყველაფერ ამას კი, ჩვენი სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემა და, რაც მთავარია, აგვისტოს ომი მოჰყვა.

– თუკი „ვარდების რევოლუცია“ რუსული პროექტი იყო, სააკაშვილი რუს ჯაშუშებს რატომღა ებრძოდა ან ვლადიმერ ვლადიმერის ძეს „ლილიპუტინს“ რატომ ეძახდა?

– ეს სპეციალურად კეთდებოდა, რომ ყველაფერი სამხედრო კონფრონტაციამდე მისულიყო, რაც რუსეთს აწყობდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა, პრაქტიკულად, გეოპოლიტიკა, სახელმწიფოებრივი წესრიგი შეცვალა და მსოფლიოს ახალი გადანაწილება დაიწყო ანუ რუსეთმა თავისი აგრესიული პოლიტიკა გამოაჩინა და საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის აღდგენას ცდილობს. სხვათა შორის, მოსკოვი სააკაშვილს მხარს 2007 წლის 7 ნოემბრის მერე, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებშიც უჭერდა.

– ეს მხარდაჭერა რაში გამოიხატებოდა?

– ამ პერიოდში ნაცმოძრაობის წევრები ძალიან ხშირად ვაშინგტონში კი არა, მოსკოვში დადიოდნენ.

– მაინც, რომელი წევრები?

– მაგალითად, მიხეილ მაჭავარიანი. ისიც გავიხსენოთ, „ვარდების რევოლუციის“ წინ, რუსეთში ვინ დადიოდა. ამოიღონ 2003 წლის პირველი ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე ინფორმაცია, თუ ვინ დაფრინავდა მოსკოვში.

– ვინ დაფრინავდა?

– როგორც ვიცი, გიგი უგულავა და გივი თარგამაძე. ასევე, მაქვს ინფორმაცია, რომ ამ პერიოდში მოსკოვს ხშირად რამდენიმე ძალოვანი მაღალჩინოსანიც სტუმრობდა. მათი ვინაობა ვიცი, მაგრამ ჯერ არ დავასახელებ, თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ დღესაც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობენ.

– „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ ბაჩო ახალაიას სიმამრის სახლში, თურმე, რუსი დიპლომატი ცხოვრობდა. ეს ყველაფერ ზემოთქმულთან კავშირშია?

– რა თქმა უნდა. როცა შენს ოპონენტებს რუსეთის აგენტებს ეძახი და ამ დროს, შენი თავდაცვის მინისტრის სიმამრის კერძო საკუთრებაში ოფიციალური რუსეთის წარმომადგენელი ცხოვრობს, ეს რას ნიშნავს? აღსანიშნავია, რომ საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს და ეს ადამიანი ოფიციალური კრემლის ერთადერთი წარმომადგენელია, რომელსაც რუსეთის სადაზვერვო უწყებასთან, პირდაპირი თუ ირიბი შეხება ექნება.

მოკლედ, ნაცმოძრაობას ყველაზე მეტად იმის ეშინია, რომ „ვარდების რევოლუციაში“ რუსული კვალი არ გამოჩნდეს, მაგრამ თუ ამ თემის გამოძიება დაიწო, რუსული კვალი აუცილებლად გამოჩნდება და ნაცმოძრაობაც მაშინვე დამთავრდება.

სხვათა შორის, 2004 წელს, მოსკოვში ვიზიტისას, მიხეილ სააკაშვილს საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრი, გელა ბეჟუაშვილი ახლდა. მის არაოფიციალურ შეხვედრებს კი, თემურ ალასანიასთან ერთად, ბეჟუაშვილი და რუსეთში საქართველოს მაშინდელი ელჩი, კოტე კემულარიაც ესწრებოდნენ“.

***

ასეა თუ ისე, „ვარდების რევოლუციიდან“ 19 წელი გავიდა. 19 წელი ისტორიისთვის არაფერია. ამიტომ, ის, რაც 2003 წლის 23 ნოემბერს მოხდა, კარგი იყო თუ ცუდი, ჟამთასვლა დღევანდელზე მეტად გამოაჩენს და შეაფასებს.

სკანდალური ინტერვიუ მიხეილ რამიშვილთან

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რატომ ემუქრება ქონების წართმევა ცნობილ ადვოკატს და რატომ გააუქმა სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

„ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ადვოკატ მიხეილ რამიშვილსა და მეუფე იაკობ იაკობაშვილს შორის არსებულ სასამართლო დავას ეხება. არაერთი გახმაურებული საქმის ადვოკატის, მიხეილ რამიშვილის სარჩელი, რომლითაც ის ქორეპისკოპოს იაკობს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის უჩიოდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წელს დააკმაყოფილა და მაშინ მეუფე იაკობს საკუთარი ნათქვამის უარყოფა დაეკისრა, თუმცა ცოტა ხნის წინ, მოსამართლე კოპალიანის ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გააუქმა. საქმე ეხება 2017 წელს, ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში, მეუფე იაკობის მიერ მიხეილ რამიშვილის „ციანიდისა“ და გირგვლიანის საქმეებში ჩანერგილ აგენტ-პროვოკატორად მოხსენიებას, რის გამოც ადვოკატმა იაკობაშვილს სასამართლოში უჩივლა. მიხეილ რამიშვილი სააპელაციო სასამართლოს მიერ, საქალაქო სასამართლოს განაჩენის გაუქმების უკან პოლიტიკურ სარჩულს ხედავს და აღნიშნულ საკითხზე „ვერსიას“ ექსკლუზიურად ესაუბრება:

„2022 წლის 16 ნოემბერს, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, რომლის შემადგენლობაში არიან მოსამართლეები: ლომიძე, ბერაია და ქირია, დააკმაყოფილა კონსტანტინე იაკობაშვილის სააპელაციო სარჩელი, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ირაკლი კოპალიანის გადაწყვეტილება გააუქმა და კონსტანტინე იაკობაშვილის სასარგებლოდ დამაკისრა 150 ლარის გადახდა.

კოპალიანის მიერ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მოყვანილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეათე მუხლის პრეცენდენტული სამართლის ძალიან ბევრი მაგალითი, რომლითაც მიიღო ეს გადაწყვეტილება და დააკისრა იაკობს ყველაფრის უარყოფა, რაც ჩემ მიმართ ცილისმწამებლურად თქვა.

აქვე, მინდა აღვნიშნო ეკატერინე ბესელიასა და ალექსანდრე ელისაშვილს შორის სასამართლო დავა პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებით. ეს საქმე უზენაესმა სასამართლომ წარმოებაშიც კი არ მიიღო და ალექსანდრე ელისაშვილს დაეკისრა ეკა ბესელიას მიმართ თანხის გადახდა და ყველაფერ იმის უარყოფა, რაშიც ბრალს სდებდა ბესელიას. ეს მოხდა 2017 წელს, როცა ბესელია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იყო ანუ აქაც შერჩევითი წესით მოქმედებს დღევანდელი სასამართლო. რადგანაც ხელისუფლებისთვის მიუღებელი ვარ და სიმართლისთვის ვიბრძვი, სააპელაციო სასამართლომ ირაკლი კოპალიანის გადაწყვეტილება არ ჩათვალა საკმარისად.

როცა ვსაუბრობთ გაზულუქებულ სასულიერო პირებზე, რომლებიც ძვირადღირებული ავტომობილებით დადიან და საერთოდ არ აინტერესებს უმრავლესობას (ყველას არ ვგულისხმობ) ადამიანები, მრევლი... მინდა, ყველას შევახსენო – საღვთო რჯულის კანონი ყოველ საქმეში სამართლიანობასა და სიმართლეს ითხოვს... კართაგენის კრების კანონის თანახმად, „მრავალია ისეთი არაკეთილი ქცევისა და ზრდილობის მქონე, რომლებიც თავს მოვალედ თვლიან, ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში ბრალი დასდონ“ და „ერთი ბრალმდებლის ყველა ბრალდება, რომელიც წაეყენება სასულიერო თუ საერო პირს, უნდა დამტკიცდეს ერთად, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშულ ბრალდებათაგან თუკი რომელიმეს დამტკიცება ვერ შეძლო ბრალმდებელმა, მაშინ მის მიერ წარდგენილი ყველა ბრალდება მიუღებლად და დაუმტკიცებლად ჩაითვლება“...

აქვე, მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მეექვსე კანონის თანახმად, ბრალმდებელმა ბრალის წარდგენამდე უნდა დადოს წერილობითი პირობა, რომ თუ იგი ვერ დაამტკიცებს მის მიერ წაყენებულ ბრალდებას, თვით დაისჯება იმ სასჯელით, რომლითაც დაისჯებოდა ბრალდებული ბრალის დამტკიცების შემთხვევაში. თუ არადა, აღმოჩნდება ცილისმწამებელი... კართაგენის კრების 145-ე მუხლის თანახმად, გონიერი და ღვთისმოშიში ეპისკოპოსი უნდა მოერიდოს ისეთი რამის თქმას, რომლის დამტკიცებაც სხვათა წინაშე არ შეუძლია... ყველაფერ ამის საფუძველზე, საპატრიარქოში ვითხოვდი საეკლესიო სასამართლოს გამართვას და მიპასუხეს, რომ თავს იკავებდნენ, სანამ არ იქნებოდა გადაწყვეტილება მიღებული სასამართლოს მიერ. როცა პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ ხმა არ ამოუღიათ და ახლა დარწმუნებული ვარ, რომ კონსტანტინემ შეიძლება, ამ საქმის მიჩქმალვაც მოინდომოს. ის არის პიროვნება, რომელიც თითის ქნევით ამბობდა პრემიერ-მინისტრ გახარიაზე, მოვხსნი, თუ ჭკვიანად არ მოიქცევაო. არ გამოვრიცხავ, რომ თითის ქნევით დაურეკა ამ „ტროიკას“, მოსამართლეებს და უთხრა, რომ ირაკლი კოპალიანის მიღებული გადაწყვეტილება შეეცვალათ და დაეკმაყოფილებინათ მისი სარჩელი“.

ადვოკატი აცხადებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, უმაღლეს ინსტანციაში გაასაჩივრებს:

„არც უზენაესი სასამართლოს იმედი მაქვს, რადგან კულუარული ინფორმაცია მომდის, რომ ყველაფრის წართმევას აპირებენ ჩემთვის, რაც კი გამაჩნია.

აქვე, მინდა, ერთი განცხადება გავაკეთო და აშშ-ის ელჩს, ქალბატონ კელი დეგნანს შევახსენო, რომ მას წერილობით მივმართე და ვიმედოვნებ, ძალიან მალე შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს და პასუხს გამცემს.

დეგნანს მივმართე იმ სიტუაციის გამო, რაშიც ვიმყოფები იმის გათვალისწინებით, რომ ხდება ჩემს ცხოვრებაში უკანონოდ შემოჭრა, პირადი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება და გარკვეული გზებით ჩემზე ზეწოლა. მაქვს ინფორმაცია, რომ გარკვეული დავებით, რომლებიც წარმოიშვება ჩემს ქონებასთან დაკავშირებით, ყველაფერს გააკეთებენ, რომ დამსვან ნულზე და ჩამომართვან ყველაფერი, რაც ჩემი შრომით მაქვს მოპოვებული. თურმე, კონსტანტინე იაკობაშვილმა ჩემი პატივი და ღირსება კი არ შელახა, არამედ, აზრი გამოთქვა! ამის საწინააღმდეგოდ არსებიბს ყველა მტკიცებულება და სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არის პოლიტიკური ნიშნით მიღებული იქიდან გამომდინარე, რომ „ციანდის საქმეზე“ ვიბრძოდი და ყველას დაანახა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამ, თუ რა უკანონობა ხდებოდა. ასევე, თამარ ბაჩალიაშვილის საქმეში სამართალიანობისთვის ვიბრძოდი და ამ ყველაფრის გამო მივმართე აშშ-ის ელჩს, რომ არის გარკვეული საშიშროება ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების მისამართით და მინდა, რეაგირება მოახდინოს და იმედი მაქვს, პასუხს გამცემენ...

სააპელაციო სასამართლოს ამ სამ მოსამართლეს ძალიან კარგი ლექსი მივუძღვენი, რომელზეც კარგ მუსიკასაც დავწერ და სიმღერას დავუტოვებ, რათა შთამომავლობას გადაეცეს, რომ ასე ჯამბაზურად არასდროს უნდა მოიქცეს ადამიანი. ვიმეორებ, უზენაესი სასამართლოს იმედი არ მაქვს, მაგრამ მაინც გავასაჩივრებ, რათა საქართველოში ყველა ინსტანცია ამოვწურო და სტრასბურგის სასამართლოში წავიღო ეს საქმე. რომ მქონდეს პირობები, ყველაფერ ამისთვის ვიბრძოლო, სწორედ ამის თაობაზე მივმართე აშშ-ის ელჩს.

ოთხი წლის შემდეგ მიიღო სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება, რომ, თურმე, არ ყოფილა პატივისა და ღირსების შელახვა, ადამიანს აგენტობას რომ აბრალებ. ფაქტია, რომ არც ეკლესიის მაღალ სასულიერო პირებს აინტერესებთ ის რჯულის კანონი, რაც წეღან წაგიკითხეთ და არც საპატრიარქოს აქვს სურვილი, გაიმართოს საეკლესიო სასამართლო.

ასე რომ, ჩემი სიცოცხლის საპირწონედ ბოლომდე ვიბრძოლებ. ღმერთის წყალობით, მამაჩემის გენეტიკიდან ლექსის წერაც შემიძლია, სიმღერისაც და არ მოაკლდებათ ჩემი სიმღერები, კარგ სცენარსაც დავუდგამ, თუ როგორია სასამართლო. მუშტი-კრივის გამართვას არავისთან ვაპირებ, მაგრამ საშვილიშვილოდ ლექსებსა და სიმღერებს დავუტოვებ ყველას, დატკბნენ და იმღერონ. თუ უნდათ, ანსამბლი ჩამოაყალიბონ – მოსამართლეთა კაპელა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ვიქნები“...

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ენმ-ს 2004 წლის კოალიციის დაშლიდან ენმ-ს დღევანდელ არეულობამდე

რას იხსენებს და რა პარალელებს ავლებს კახა კუკავა

„ვარდების რევოლუციიდან“ 19 წელი გავიდა. მართალია, საქართველოში მნიშვნელოვანი, გარდამტეხი პროცესები 2003 წელს, ნაციონალური მოძრაობის თაოსნობით განვითარდა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ დანიშნულ ვადამდელ არჩევნებზე სააკაშვილის გუნდი კოალიციით გავიდა... მაშინ „ნაციონალების“, კონსერატორებისა და რესპუბლიკელების ერთობას კოალიცია კი არა, ბლოკი ერქვა. ენმ 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებშიც ბლოკის სახით იყო წარმოდგენილი და ამ ბლოკის წევრებიც კონსერვატორები და რესპუბლიკელები იყვნენ... 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მართალია, უმრავლესობა მოიპოვა, მაგრამ ენმ-მ ბლოკის შენარჩუნება ვერ შეძლო და ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს ბლოკი დატოვა, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვლი გახლდათ. მალე, იგივე გზას დაადგნენ კონსერვატორი ზვიად ძიძიგური და მისი თანაგუნდელი კახა კუკავაც.

რა პროცესები ვითარდებოდა მაშინ ენმ-ში და რა ხდება ახლა ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ პარტიაში, სადაც თავმჯდომარეობისთვის ბრძოლაში, ნიკა მელიას ლევან ხაბეიშვილი უპირისპირდება? – „ვერსია“ თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა:

– 2004 წელს კოალიცია იმიტომ დავტოვე, რომ არ გვქონდა საერთო ფასეულობა ნაციონალურ მოძრაობასთან, არამედ, გვყავდა საერთო მტერი. ეს ხშირად ხდება პოლიტიკაში, როცა სხვადასხვა ძალა საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანდება და ეს მტერი მაშინ იყო ედუარდ შევარდნაძე. ჩვენ წარმოვადგენდით ეროვნულ მოძრაობას, სააკაშვილი კი იყო მისივე გუნდის ნაწილი, რომელიც შიდაკლანურ ბრძოლაშო ჩაერთო. მასაც არ შეეძლო ჩვენ გარეშე გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და ჩვენც, რადგან ეროვნული მოძრაობა იმ დროს სისხლისგან იყო დაცლილი მრავალწლიანი რეპრესიების შედეგად. სააკაშვილი კი იყო კარგი მოკავშირე. საბოლოო ჯამში, დაადასტურა კიდეც „ვარდების რევოლუციამ“, რომ ამ ალიანსმა ძალიან კარგად იმუშავა, მაგრამ როგორც კი სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ჩაიგდო ხელში მთელი ძალაუფლება და კოალიციურობის ნასახიც კი აღარ იყო. სრულიად აშკარად აცხადებდა, რომ ის აპირებდა საქართველოში ავტოკრატიული რეჟიმის ჩამიყალიბებას, რომელსაც 2007 წლიდან, დიქტატურის ნიშნებიც აღმოაჩნდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, კოალიციაში მყოფი ხალხის გზები გაიყო და სააკაშვილის პოლიტიკური გუნდის უდიდესი ნაწილი მაშინ ჩვენთან ერთად წამოვიდა ოპოზიციაში. ვერ და არ შეინარჩუნა ისინი, რადგან სააკაშვილს 2003 წლის შემდეგ სჭირდებოდა არა თანაგუნდელები, არამედ, მონები. გახსოვთ, ალბათ, ზოგს სახეში პულტი ესროლა, აგინებდა... ამგვარ დამოკიდებულებას ვინც აიტანდა, ის კონტიგენტი იყო მისთვის მისაღები. ადამიანები, რომელთაც საკუთარი აზრი ჰქონდათ, მისთვის მიუღებელნი იყვნენ და ეს დაიწყო კობა დავითაშვილიდან. ის 2003 წელს საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყო და ყველა ვარაუდით, უნდა დანიშნულიყო გენერალურ პროკურორად, როგორც სამართლიანობის აღდგენისთვის მებრძოლი. ეს პერიპეტიები უშუალოდ მახსოვს... მას კი უთხრეს, აირჩიე ნებისმიერი უწყინარი პოსტი, სადაც იქნები კარგად, მაგრამ ძალაუფლება არ გექნებაო.

– პირადად თქვენ რა პრობლემა გაგიჩნდათ მიხეილ სააკაშვილთან?

– კობა და მე ერთი გუნდი ვიყავით. კობამ ნაციონალური მოძრაობა არჩევნებამდე დატოვა, რადგან ის მაჟორიტარი იყო, მე სიით ვიყავი არჩეული. ჩემთან მაშინ მოვიდა ნაციონალური მოძრაობის წევრი, რომელიც ახლაც აქტიურ პოლიტიკაშია და მითხრა, სააკაშვილმა გამომგზავნა, რათა მიიღო გადაწყვეტილება, ან კობასთან ერთად გააგრძელებ საქმიანობას, ან ნაციონალურ მოძრაობასთან, ორივე ერთად არ გამოვაო. მადლობა გადავუხადე და მივიღე გადაწყვეტილება.

– ბატონო კახა, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს ახსენებთ, ავტოკრატიასა და დიტქტატურაში ადანაშაულებთ... მხოლოდ ამ ერთ პერსონაზე იყო მაშინ ყველაფერი დამოკიდებული?

– ნაწილობრივ, ეს იყო ობიექტური მოცემულობაც და ნაწილობრივ, სააკაშვილმა გააძლიერა ეს ფაქტორი.

სააკაშვილი, რა თქმა უნდა, 2003 წელს იყო ლიდერი და „ვარდების რევოლუციის“ წარმატება მნიშვნელოვანწილად მოდიოდა მასზე, თუმცა როცა ამბობენ, რომ სააკაშვილმა მოაწყო 2003 წელი, ან ივანიშვილმა მოაწყო 2012 წელი, ეს არის დიდი ტყუილი, რადგან ამ ორივე ადამიანის ირგვლივ მაშინ იყო პოლიტიკური ელიტის 90%. სააკაშვილი კი იყო ლიდერი, მაგრამ გადახედეთ ნაციონალური მოძრაობის პირველ ათეულს და ნახავთ, რომ იქ სხვა ლიდერებიც იყვნენ. სააკაშვილი ლიდერი იყო, მაგრამ კობა დავითაშვილი არ იყო ჯოხი, არც ზვიად ძიძიგური, ბერძენიშვილი და სხვები...

აქედან გამომდინარე, მაშინდელი ენმ არსებითად განსხვავდებოდა დღევანდელისგან, სადაც არის მარტო სააკაშვილი და დანარჩენი არის ნული. ჩანს კიდეც სხვაობა, 2003 წელს იმიტომ იყო ძლიერი ნაციონალური მოძრაობა, რომ იქ იყო სააკაშვილს პლუს ბევრი ლიდერი. დღეს კი არის სააკაშვილს პლუს ნული. ზუსტად იგივე შემიძლია, ვთქვა „ქართული ოცნების“ შესახებაც. 2012 წელს, რა თქმა უნდა, ივანიშვილი იყო უპირობო ლიდერი, ოღონდ, მაშინ იყო ივანიშვილს პლუს ლიდერთა გუნდი. დღეს კი არის ივანიშვილს პლუს ნული. ამიტომაც, ობიექტურად, სააკაშვილი კი იყო ლიდერი, მაგრამ ხელისუფლების შემდეგ რა ვითარებაც შეიქმნა, ეს არ იყო ობიექტური რეალობა... სააკაშვილისთვისაც ძალიან კარგი იქნებოდა, რომ დაენიშნა კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და თავისი პოლიტიკური გუნდის წევრები თანამდებობებზე, უფრო ძლიერად იქნებოდა თვითონ, მაგრამ მას გაუჩნდა აბსოლუტურად არასწორი, პროვინციალური მიდრეკილება...

– თუ თქვენს ლოგიკას გავყვებით, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სააკაშვილმა ჩამოიშორა კოალიციური ძალები, ამას კავშირი აქვს იმ პროცესებთან, რაც ახლა ენმ-ში ხდება? ვგულისხმობ ნიკა მელიას წინააღმდეგ დაპირისპირებას. ვინმეს მოსწონს თუ არა, მელია დროდადრო ცდილობდა სხვა პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობას და ენმ-ს კოალიციური ერთიანობისთვის ღია პლატფორმის ელფერს სძენდა... ასე რომ, შესაძლოა, მელიას კოალიციურ ხედვას უპირისპირდება სააკაშვილის ერთპიროვნული მმართველობის ხედვა?

– ზუსტად ეგრეა. ხშირად ვამბობ ვიწრო წრეში და თქვენთანაც ვიტყვი, ახლა სააკაშვილის პარტიას ცოცხლად მარხავენ. არაერთხელ მითქვამს, რომ ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, ხელში ჩაიგდეს არასერიოზულმა ძალებმა და დამარხეს ეს მოძრაობა, მაგრამ მაშინ გარდაიცვალა ზვიადი და დარჩა მოძრაობა ულიდეროდ. ახლა კი ცოცხალი სააკაშვილის ხელში, მის პარტიას მარხავენ.

– რას გულისხმობთ, ვინ მარხავს?

– ამ პროცესს, რაც მიმდინარეობს ენმ-ში, რა კანდიდატებიც წამოაყენეს. პარტიის ლიდერი ავტომატურად იგულისხმება პრეზიდენტობის ან პრემიერობის კანდიდატად. გინდათ, ხაბეიშვილი ან ჩალაძე, წარმოგიდგენიათ პრეზიდენტად ან პრემიერ-მინისტრად?

– გიორგი ჩალაძემ ენმ-ის თავმჯდომარეობის კანდიდატურა მოხსნა, ბატონო კახა.

– გასაგებია, მანდ რა კომბინაციაც გაითამაშეს. კეზერაშვილმა თავიდან დააყენებინა ჩალაძეს კანდიდატურა და შემდეგ ჩაანაცვლა ხაბეიშვილით. როცა ამ ხელისუფლებას ვაკრიტიკებთ, გგონიათ, რომ ქართველი ხალხი გამოვა ქუჩაში იმისთვის, რომ ახლანდელი პრემიერი ხაბეიშვილით შეიცვალოს? ყველას უნდა არსებითად უკეთესი და უკეთესში იგულისხმება განათლება, გამოცდილება, ზომიერება, გაწონასწორებულობა, ინტელექტი...

– მელიაზე რას იტყვით?

– ვფიქრობ, მელიამ თავისი შანსი გაუშვა. სწორად მიხვდა იმას, რაც წეღან თქვით, რომ ძალა ერთობაშია და კარგი შედეგიც დადო 2018 წლისა და 2020 წლის არჩევნებში, მაგრამ ნაწილობრივ იმის გამო, რომ სააკაშვილის მომხრეებმა დაუწყეს ძირის გამოთხრა და ნაწილობრივ იმის გამო, რომ მას არ ეყო ჰორიზონტი... ხოშტარია-ჯაფარიძესთან რომ ჩაიკეტა თვითმმართველობის არჩევნებში, ეს იყო დიდი შეცდომა. ზოგს კოალიცია ჰგონია ნაციონალური მოძრაობიდან გუშინ გამოსულ ხალხთან გაერთიანება. კოალიცია მაშინ იქმნება, როცა განსხვავებული ძალები ერთიანდებიან... მელიას ორ სკამზე უნდოდა ერთდროულად ჯდომა, თან მიშისტების და თან შუაშისტების და ეს არ გამოვიდა.

– როგორც ჩანს, არც ხაბეიშვილს უწინასწარმეტყველებთ წარმატებას და არც მელიას, ასეა?

– ვფიქრობ, ორივეს გამარჯვება კარგი იქნება, განსაკუთრებით, „ვგულშემატკივრობ“ ხაბეიშვილს, რადგან რაც მალე დასამარდება ნაციონალური მოძრაობა, მით უკეთესი ქვეყნისთვის. ნაციონალური მოძრაობა არის მაოხრებელი მკვდარი, რომელიც გდია პოლიტიკურ მოედანზე და ავი ძაღლივით, არც თვითონ ჭამს და არც სხვას აცდის, რომ პოლიტიკური პროცესები განვითარდეს. ამიტომ, რაც მალე გასაზიზღრდება და გამარგინალდება ეს ძალა, მით უკეთესია.

– ენმ ყველაზე დიდი ოპოზიციური ძალაა და თუ ხელისუფლებას ოპონენტად ასეთი ძალა არ ეყოლება, ეს ქვეყანას წაადგება?

– ნებისმიერი დასასრული არის რაღაცის დასაწყისი. საქართველოში იმიტომ არ ფორმირდება რეალური ოპოზიცია, რომ ნაციონალურ მოძრაობას უკავია ეს ადგილი. ეს არის ცრუ იმედი, „ფეიკ-ოპოზიცია“ და ამიტომ მისი გაბანძება და გაფარჩაკება ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პროცესებს.

სკრინინგის დახმარებით, კიბო განაჩენი არ არის!

მაკა რუხაძე

ადრეულ ეტაპზე სიმსივნური დაავადების დიაგნოზი განკურნების გარანტიაა

არსებობს მოსაზრება, რომ თამარ მეფე ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალა. ისტორიული წყაროების თანახმად, სიცოცხლის ბოლო ხანებში, მეფე უღონოდ იყო, ღაწვები დაუჭკნა, წონაში მკვეთრად იკლო და ორივე თვალის უპეები ჩაუშავდა. სწორედ ამ სიმპტომების მიხედვით, მედიკოსთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ქართველთა სათაყვანებელი მეფე ავთვისებიანმა სიმსივნემ იმსხვერპლა. თამარის დროს რომ შესაძლებელი ყოფილიყო ავთვისებიანი სიმსივნის ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკა და შესაბამისი, დროული მკურნალობა, მეფე, ალბათ, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა და ვინ იცის, ეგებ, საქართველოს ბედის ბორბალსაც სხვაგვარად ეტრიალა?!

დღეს, თუ ცხოვრების წესად გავიხდით წელიწადში ერთხელ მაინც, სამედიცინო პროფილაქტიკურ შემოწმებას, არა მხოლოდ ონკოლოგიური, სხვა, უამრავი და საფრთხის მომტანი დაავადებისგან თავდაცვას შევძლებთ. ჩვენს დროში დაავადების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა, ხოლო შემდგომ, მისი დროული და სწორი მკურნალობა თითქმის გამოჯანმრთელების საწინდარია.

აღსანიშნავია, რომ საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგი უფასოა და სახელმწიფო მოქალაქეებს გადარჩენის რეალურ შესაძლებლობას აძლევს. მთავარია, არ დაგვეზაროს, სპეციალისტების მიერ მითითებულ დროში ჩავიტაროთ კვლევა და ექიმი მხოლოდ მაშინ არ გაგვახსენდეს, როდესაც ქართველების საყვარელი მეფის მსგავსად, მძიმე სენისთვის დამახასიათებელი ნიშნები შესამჩნევი გახდება.

ონკოლოგების განმარტებით, სკრინინგი დაავადებასთან ბრძოლაში დროის მოგების შესაძლებლობას იძლევა და ეს შანსი მით უფრო არ უნდა გავუშვათ ხელიდან, როდესაც მსოფლიოში იშვიათი პრივილეგიით, უფასო გამოკვლევების სარგებლობის სრული შესაძლებლობა გვაქვს. ამიტომაც, ნუ უგულებელჰყოფთ ტელეფონზე ან სხვა, საკონტაქტო საშუალებაზე მოსულ შეტყობინებას, თუ გახსენებენ, რომ უფასოდ შეგიძლიათ ჩაიტაროთ კვლევა ძუძუს, საშვილოსნოს ყელისა და მსხვილი ნაწლავის სიმსივნურ დაავადებებზე. ამ შეტყობინებას, სწორედ ჩვენი ჯანმრთელი და დღეგრძელი ცხოვრების უზრუნველსაყოფად ვიღებთ და შესაძლოა, მათი უგულებელყოფა სავალალო აღმოჩნდეს.

უკვე წლებია, საქართველოში, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს, რომლის მიზანია, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა. პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს 40-70 წლის ასაკის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგს – ძუძუს ხელით გასინჯვას; მამოგრაფიულ გამოკვლევას (ორი რადიოლოგის მიერ წაკითხვით); პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, დამატებით ინიშნება ექოსკოპიური გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში – ექოსკოპიის კონტროლით ძუძუს წვრილნემსიანი ასპირაციული ბიოფსია; ბიოფსიური მასალის ციტოლოგიური კვლევა. ძუძუს კიბოს სკრინინგი რეკომენდებულია ორ წელიწადში ერთხელ. თუ ფიქრობთ, რომ ჯანმრთელი ხართ და სკრინინგი არ გჭირდებათ, სპეციალისტების განმარტებით, ცდებით. სკრინინგი ადრეულ ეტაპზე დაავადების აღმოსაჩენად

გვჭირდება, თორემ უკვე გამოკვეთილი ნიშნების დაფიქსირების შემდეგ, მკურნალობა უნდა დაიწყოს, რომელიც, შესაძლოა, დაგვიანებულიც კი იყოს.

ძუძუს კიბოს მსგავსად, ქალებისთვის განსაკუთრებით საშიშია საშვილოსნოს ყელის კიბო. აღსანიშნავია, რომ სკრინინგის უფასო პროგრამაში, ამ მიმართულებით, კვლევაც შედის და მოიცავს 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალებში გინეკოლოგის კონსულტაციას, პაპ-ნაცხის აღებასა და მასალის ციტოლოგიურ კვლევას (PAP-ტესტი), ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით; პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, ასევე, უფასოა აუცილებლად ჩასატარებელი კოლპოსკოპია, საჭიროების შემთხვევაში კი – ბიოფსიური მასალის აღება და ბიოფსიური მასალის ჰისტო-მორფოლოგიური კვლევა. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი რეკომენდებულია სამ წელიწადში ერთხელ.

სახელმწიფო პროგრამა კოლორექტალური (მსხვილი ნაწლავის) კიბოს უფასო სკრინინგსაც მოიცავს და ორივე სქესის 50-70 წლის ასაკის მოსახლეობის კვლევას ითვალისწინებს, რაც მოიცავს: ფარულ სისხლდენაზე სპეციალური (FOBT ან უფრო მაღალი სტანდარტის ტესტებით) ტესტის ჩატარებას. პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, დამატებით ტარდება: კოლონოსკოპიური სკრინინგი (გაუტკივარების გარეშე ან გაუტკივარებით), საჭიროების შემთხვევაში – ბიოფსიური მასალის აღება და მისი ჰისტო-მორფოლოგიური კვლევა, კოლონოსკოპიური სკრინინგის დროს, ასევე, შესაძლებელია მცირე ზომის პოლიპების ამოკვეთა. კოლორექტული კიბოს სკრინინგი რეკომენდებულია ორ წელიწადში ერთხელ.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ასევე, შესაძლებელია რეკომენდებულზე უფრო ადრეული სკრინინგული კვლევების ჩატარება, თუ პაციენტს ისეთი პათოლოგია გამოუვლინდა, რომელიც შესაძლოა, შემდგომში ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს და ექიმის გადაწყვეტილებით, დინამიკაში დაკვირვებას საჭიროებდეს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად, მსოფლიოში ყველაზე მეტ ქალს ძუძუს კიბო კლავს. სამწუხაროდ, ქალთა ავთვისებიანი სიმსივნით გარდაცვალების მიზეზი ხშირად საშვილოსნოს ყელის კიბოც ხდება. ამ მძიმე სტატისტიკასთან ერთად, დაუსრულებლად შეიძლება ვიმეოროთ, რომ კიბოს ვერც ერთი და ვერც მეორე ფორმა ვერ გაიმარჯვებს, თუ ქალი უარს არ იტყვის სპეციალისტების რეკომენდებულ დროში სკრინინგის ჩატარებაზე. მხოლოდ ასე შევძლებთ, თამამად ვთქვათ, რომ კიბო განაჩენი არ არის!

როგორც ცნობილია, უფასო სკრინინგ-პროგრამა გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებში ტარდება (სპეციალისტების განმარტებით, კონკრეტული სიმსივნური დაავადებების განვითარების ყველაზე დიდი რისკი, სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფებშია), თუმცა ამ სიკეთით ყველა არ სარგებლობს – გარდა იმისა, რომ ჩვენთან სამედიცინო კვლევების კულტურა ძალიან დაბალია, ქალბატონების ნაწილი გამოკვლევებს სწორედ იმიტომ არ იტარებს, რომ დაავადების დაფიქსირების ეშინია...

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამებისა და რეგიონული მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კიბოს სკრინინგის პროგრამის კოორდინატორი, **ლია მგალობლიშვილი** ამბობს, რომ კიბოს სკრინინგის მიზანი, მხოლოდ ამ მძიმე დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა, ან მისი შეზღუდვა არ არის:

„კიბოს სკრინინგის არსი იმ დაავადებების გამოვლენაცაა, რომლებიც შეიძლება გართულდეს და ავთვისებიან სიმსივნეში გადაიზარდოს. დასანანია, რომ სკრინინგზე მომართვიანობა დაბალია, განსაკუთრებით, რეგიონებში. ჩვენთან ხომ ექიმთან მაშინ მიდიან, როდესაც რამე შეაწუხებთ... ვფიქრობ, ეს არაინფორმირებულობის შედეგია. უნდა გაიზარდოს ოჯახის ექიმების ჩართულობა – მათ მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტი აქვთ და ამდენად, უკეთ შეუძლიათ, აუხსნან სკრინინგის მნიშვნელობა. ძალიან მნიშვნელოვანია მედიის როლი, რადგან საზოგადოებისთვის სწორად და ზუსტად მიწოდებულ ინფორმაციას შესანიშნავი შედეგი მოსდევს“.

2020 წლის 17 ნოემბერს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით, ამოქმედდა საშვილოსნოს ყელის კიბოს ელიმინაციის დაჩქარების გლობალური სტრატეგია, რითაც მსოფლიოს ქვეყნებმა კიბოს აღმოფხვრის ვალდებულება აიღეს. საქართველოც ამ ქვეყნებს შორისაა და იზიარებს პოზიციას, რომ ქალები არ უნდა იღუპებოდნენ საშვილოსნოს ყელის კიბოთი, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია. ამისათვის კი მნიშვნელოვანია დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა, ან მისი გამომწვევი მიზეზების პრევენცია, პაპილომა-ვირუსის საწინააღმდეგო აცრა, რომელიც იცავს საშვილოსნოს ყელის კიბოსგან, რაც ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საქართველოში პაპილომა-ვირუსის საწინააღმდეგო აცრა უფასოა გოგონებისთვის 10-დან 18 წლამდე. ვაქცინაცია ტარდება პირველადი ჯანდაცვის პუნქტებში.

P.S. სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ: 116001 ან 1505; ან ეწვიეთ Facebook-ის გვერდს „კიბოს სკრინინგი – Cancer Screening“.

როგორ მოვიქცეთ, როცა მდგმური ბინის ქირას არ გვიხდის

ია გრიგალაშვილი



აღდგება თუ არა საპოლიციო გამოსახლების წესი

2015 წლის 29 დეკემბერს, პარლამენტის გადაწყვეტილებით, ე.წ. საპოლიციო გამოსახლების წესი გაუქმდა და შესაბამისად, უკანონოდ მითვისებული ქონების კანონიერ მესაკუთრესთან გადასვლის წესები მნიშვნელოვნად გართულდა. თუ 2015 წლამდე, უძრავ ქონებაში უკანონოდ მყოფი ან შეჭრილი პირის გამოყვანა პოლიციის ძალით იყო შესაძლებელი, 2016 წლიდან, პირის საცხოვრებელი ფართიდან გამოყვანა-გამოსახლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, აღსრულების პოლიციის მიერაა ნებადართული. აღსანიშნავია, რომ გადატვირთული სასამართლო სისტემის გამო, ერთი საქმის დასრულებას, ხშირად, ორი-სამი წელი სჭირდება.

რამდენიმე დღის წინ, „უძრავი ქონების ეროვნულმა ასოციაციამ“, საქართველოს მთავრობას, საპოლიციო წესის აღსადგენად საკანონმდებლო ცვლილებების დაუყოვნებლივ მიღება მოსთხოვა. გაერთიანების მიერ, მთავრობისთვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების გააქტიურებულმა მიგრაციამ საქართველოს დიდ ქალაქებში, გასაქირავებელი უძრავი ქონების მესაკუთრეებს გარკვეული პრობლემები შეუქმნა. კერძოდ, საკითხი დამქირავებლის მიერ ქირის გადაუხდელობას და შემდეგ, მისი გამოსახლების პროცედურებს ეხება.

„მივმართავთ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, ქონების მესაკუთრეების უფლებების დასაცავად, დაუყოვნებლივ მიიღონ საკანონმდებლო ცვლილებები საპოლიციო გამოსახლების წესის აღსადგენად, რათა დაცული იყოს მესაკუთრე კონსტიტუციით აღიარებულ უფლებაში და ხელშეშლის გარეშე, განკარგავდეს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას“, – ნათქვამია „საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის“ მიერ, მთავრობისადმი გაგზავნილ მიმართვაში.

„ვერსია“ „საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის“ ერთ-ერთ წარმომადგენელ ვაშა მებაღიშვილს ესაუბრა.

– ბატონო ვაჟა, რამდენად რთულია არსებული სიტუაცია და როგორ უნდა დარეგულირდეს ყოველივე ეს, კანონით?

– უამრავი შემთხვევა გვაქვს, როდესაც ბინის დამქირავებლები არ იხდიან ქირას და ასეთ დროს მესაკუთრეები ვერაფერს აკეთებენ. განსაკუთრებით ახლა, როდესაც საქართველოში უცხო ქვეყნის ამდენი მოქალაქის შემოსვლა ფიქსირდება. ზუსტად ეს გახდა მიზეზი, რომ აღნიშნული ინიციატივა გაგვეჟღერებინა, რადგან ადამიანები გვირეკავენ, თავიანთ სიტუაციას გვიზიარებენ და დახმარებას გვთხოვენ. ჩვენ ვერ ვეხმარებით იმიტომ, რომ კანონმდებლები არ ვართ. დაზარალებულ და დისკრიმინირებულ მდგომარეობაში ვარდება ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც აქირავებს ბინას, რაც დიდი კონფლიქტისა და შურისძიების მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. „უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის“ წევრები მუდმივად გავდივართ კონსულტაციებს იურისტებთან და დარგის სპეციალისტებთან, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ მსგავსი სიტუაციების მართვა. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე, უამრავი ადამიანი მოგვმართავს სხვადასხვა კითხვით. კითხვები, რომლებსაც ისინი გვისვამენ, ეხება უფლებება-მოვალეობებს ბინის გაქირავებასთან დაკაშირებით, რაც განვითარებული მოვლენების საფუძველზე, საკმაოდ ლეგიტიმურია. მომხმარებლებს აინტერესებთ, რამდენად იცავს მათ კანონი.

არაერთხელ მოგვისმენია აზრი, რომ ბინის გაქირავება არის ბიზნესი, რაც, შესაბამისად, მოიცავს რისკებს, მაგრამ დღეს ეს რისკები ძალიან მაღალი საფრთხის შემცველია, რის გამოც გავიარეთ არაერთი კონსულტაცია იურისტებთან. მათი თქმით, ბინის დამქირავებლის გამოსახლების საკითხის დარეგულირების ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ეფექტიანი მეთოდი საპოლიციო გამოსახლების წესია. გავეცანით სრულ ინფორმაციას ამ წესის შესახებ, მაგალითად, რამე ზიანის მოტანა ხომ არ შეეძლო მის დაბრუნებას. სპეციალისტებმა გვითხრეს, რომ მანკიერი პრაქტიკა, რის გამოც ეს წესი გაუქმდა, ისევ აქტიურად მუშაობს და ათასგვარი სხვა მეთოდით ხდება ქონებების გადაფორმება. 2015 წელს, საპოლიციო გამოსახლების გაუქმებამ დადებითი შედეგი ვერ მოიტანა. შესაბამისად, პრობლემის აღმოჩენისა და ბევრი დაკვირვების შემდეგ, გადავწყვიტეთ, სახელმწიფოსთვის მიგვემართა.

– უკუკავშირი ხომ არ მიგიღიათ მთავრობისგან?

– პასუხი არ მიგვიღია და არავინ დაგვკავშირებია, ვაცხადებთ მაქსიმალურ მზაობას და თუ ნება იქნება, ჩვენს წვლილსაც შევიტანთ ამ საკითხში.

– ალბათ, უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებაში, უფრო რთულია გამოსახლების პროცედურები და იმ გადასახადის დაკისრება, რომელიც ბინაში ყოფნისას არ აანაზღაურეს...

– დიახ, ასეთ დროს სამართალწარმოება საკმაოდ რთულია, ეს ადამიანები დროებით არიან შემოსულნი ქვეყანაში და ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ, დატოვონ ქვეყანა ისე, რომ ვერავინ გააჩერებს და ვერც დააკისრებს იმ გადასახადს, რომელიც გამქირავებელს არ გადაუხადეს. საქართველოს მოქალაქეებისადმი კი ამის სხვადასხვა საშუალება არსებობს, მაგალითად, ქონების დაყადაღება, თუმცა მაინც საკმოად ხანგრძლივი პროცესია, შეიძლება, ორიდან სამ წლამდე გაგრძელდეს. სამწუხაროდ, გვიწევს ამ რეალობის გამხელა, მიუხედავად იმისა, ხელშეკრულება აქვთ თუ არა გაფორმებული, პირველ რიგში, სიტყვიერ მოლაპარაკებას ვურჩევთ, ეს არის საკმაოდ რთული, როცა გადამხდელი ურჩია, მაგრამ ამ მიდგომასაც უმუშავია.

– გამოდის, რომ ქირავნობის ხელშეკრულება ბოლომდე ვერ იცავს მეპატრონეს...

– ძალიან არ მინდა, ამ აზრს დავეთანხმო, რადგან რაც ამ ბიზნესში ვარ, სულ ხელშეკრულების გაფორმების მნიშვნელოვნებაზე ვსაუბრობ, ეს არის ურთიერთობის თანამედროვე, ცივილური ფორმა. ორივე მხარემ უნდა იცოდეს ერთმანეთის უფლებები და ვალდებულებები, თუმცა როდესაც საკითხი ურჩ გადამხდელს ეხება, დიდი ეფექტი ხელშეკრულებას არ აქვს და იწყება ხანგრძლივი დავა, რომელიც მოითხოვს დიდ ენერგიას, დროსა და ხარჯებს. ფაქტია, გამოსახლების კანონი აღსადგენი და გადასახედია და ეს მარტო ჩემი აზრი არაა, ეს არის მესაკუთრეების პოზიცია, რომლებიც გვიკავშირდებიან, შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს რეაგირება. როდესაც რაიმე ცვლილებას ვნერგავთ, ხომ უნდა შეფასდეს, რა დადებითი და უარყოფითი გავლენები მოახდინა? ეს არ არის ვიწრო პოლიტიკური შეხედულებების საგანი, ეს ეხება ადამიანების კეთილდღეობას. აუცილებელია, საქმიანად მივუდგეთ და რეალურად შევხედოთ ყველაფერს, ჰუმანური გზა არ გულისხმობს რადიკალურ მიდგომებს.

– რა გეგმები გაქვთ, რა იქნება შემდეგი ეტაპი ამ საკითხთან მიმართებაში?

– კვლავ აქტიურად გავაგრძლებთ მუშაობას ამ საკითხზე, შემდეგი ეტაპი იქნება პეტიციის შექმნა. ვფიქრობ, საკმაოდ აქტიური გამოხმაურება ექნება საზოგადოების მხრიდან.

სამართალი

№46 23 ნოემბერი 2022 წ

სასტიკი შურისძიება – სტუდქალაქში სტუდენტები სასიკვდილოდ მოწამლეს

რა აკავშირებდა მკვლელს გარდაცვლილთან

ბათო ჯაფარიძე

დღეს, საქართველოში, ძალიან ბევრი უმაღლესი სასწავლებელია. სკოლის დამთავრების შემდეგ, ყველა ცდილობს, გრანტით თუ უგრანტოდ სასწავლებელში მოხვდეს, უმაღლესი დაამთავროს, დიპლომი ჰქონდეს და ყველაზე საინტერესოც ამის შემდეგ იწყება – ძალიან ცოტა ნახულობს პროფესიის შესაბამის სამსახურს და სწორედ სასწავლებლების სიმრავლე გვგგონია იმის მიზეზი, რომ დიდი კომპანიები ქვედა რგოლებში თანამშრომლებს ვერ პოულობენ. არადა, იყო დრო, როცა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების ჩამოსათვლელად ხელის თითები საკმარისი იყო და დიპლომიც ბევრად დაფასებული. ცალკე თემა იყო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ანუ სტუდქალაქი, სადაც რაიონებიდან და საქართველოს სხვა დიდი ქალაქებიდან ჩამოსული სტუდენტები სწავლის პერიოდში ცხოვრობდნენ, ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, ჭირ-ვარამს იზიარებდნენ. ყველამ იცოდა, სად იხარშებოდა ლობიო, სად ცხვებოდა მჭადი და საერთო სამზარეულოც მართლა საერთო იყო. ნახევრად მშიერი სტუდენტი იშვიათობა არ იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, ბევრს ენატრება ის დრო და მეტიც, ყველაზე ტკბილად აგონდება. სწორედ თბილისურ სტუდქალაქში მოხდა შემთხვევა, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ.

ერთ-ერთი გოგონა დაბადების დღეს იხდიდა და, რაღა თქმა უნდა, სუფრა არ იყო მეფური. მეტიც, საკმაოდ ღარიბ სუფრას სალათი „შუბა“ ამშვენებდა, რომელიც საგულდაგულოდ, მაცივარში ჰქონდათ გოგონებს შენახული და საზეიმოდ გამოიტანეს, დაინაწილეს და... რამდენიმე წუთში, გოგონების ოთახში შესულმა სტუდენტმა ყვირილი დაიწყო – ყველა იატაკზე ეგდო და ყველას ქაფი მოსდიოდა პირიდან. სასწრაფო დახმარების მანქანა ადგილზე მალე მივიდა და გოგონებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოწამვლის ნიშნები აშკარა იყო, რის გამოც ადგილზე, სამართალდამცავები მივიდნენ.

„საავადმყოფოს გამცდილმა მედპერსონალმა გზაში დაგვაწია, რომ უდიდესი ალბათობით, საწამლავად „მიშიაკი“ იყო გამოყენებული. ისიც კი ვიფიქრეთ, საერთო საცხოვრებელში ბევრი თაგვი და ვირთხაა, ეგებ, ვინმემ არასწორ ადგილზე დაყარა-თქო, მაგრამ სტუდქალაქში მისულებს ეჭვი მაშინვე გაგვიქარწყლდა. როგორც აღმოჩნდა, „მიშიაკს“ იქ არავინ იყენებდა და ზოგადად, თაგვები და ვირთხები სტუდქალაქის მაცხოვრებლებს არ აწუხებდათ. ვერც იმას ხვდებოდა ვერავინ, ვისთვის შეიძლებოდა გოგონებს ისე ეწყენინებინათ, რომ სასიკვდილოდ გაემეტებინა? ქვაბში საწამლავი შემთხვევით რომ არ მოხვდებოდა, ადვილი მისახვედრი იყო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებს სტუდენტები არცთუ დიდი ხალისით ესაუბრებოდნენ, მაგრამ ცხადი იყო, მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, ვის შეიძლებოდა მოეწამლა გოგონები. თანაც, დაახლოებით, ერთი თვის წინ, სტუდქალაქში ისედაც ცუდი ამბავი მოხდა, ერთ-ერთ სტუდენტ გოგონას ავტომობილი დაეჯახა და ადგილზე მოკლა. მისი სურათი შესასვლელში ისევ ეკიდა, ორმოცის შემდეგ ჩამოვხსნითო, უთხრეს ძალოვნებს. ახლა მთავარი იყო, ექიმებს ყველაფერი გაეკეთებინათ, სასწაული მოეხდინათ და გოგონები გადაერჩინათ. ექსპერტიზაზე წაღებული ქვაბი შიგთავსით დეტალურად შეამოწმეს. შხამის დოზა საკმარისი იყო იმისთვის, რომ გოგონები მოეკლა, მაგრამ შემთხვევით შესულმა სტუდენტმა დროზე მიუსწრო და ახლა ყველაფერს წამები წყვეტდა.

„ერთ-ერთმა ოპერმა მთხოვა, სტუდქალაქში დავბრუნდები, რაღაც დამრჩაო და, რა თქმა უნდა, გავუშვი. ისიც მთხოვა, სამსახურეობრივი მანქანა გამაყოლე, რაც უნდა წამოვიღო, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვერ ავიტანო. მივხვდი, რაღაც ისეთი ნახა, რასაც, თუნდაც მე, ყურადღება არ მივაქციე. ინტერესით ველოდი მის დაბრუნებას, გამყოფილებაში მოსვლისთანავე, მაგიდაზე 10 ქვაბი დამიდო და იქვე დააყოლა, ერთი ამდენი კიდევ იქ დავტოვეო. ქვაბებს დავხედე და ზუსტად ისეთი იყო, როგორშიც მოწამლული სალათი იყო მოთავსებული. გამიკვირდა, ამდენი ერთნაირი ქვაბი საიდან მოხვდა სტუდქალაქში-მეთქი და ოპერმა ამიხსნა – იქვე არის მაღაზია, სადაც ყველაზე იაფად, სწორედ ეს ქვაბები იყიდება და ყველა სტუდენტი მათ ყიდულობსო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

შესაბამისად, ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ვიღაცას ქვაბი შეეშალა და არა გოგონების, არამედ, სხვისი მოწამვლა სურდა. გამოდიოდა, რომ ძიებას ყველა სტუდენტი უნდა შეემოწმებინა, ყველას პირადი საქმე, კონფლიქტი ხომ არ ჰქონდა ვინმეს, სტუდქალაქში არცთუ იშვიათი იყო ბანქოს თამაშის შემთხვევები ფულზე, ხანდახან, დიდ ფულზეც კი. ყველაფერი ეს წარმოუდგენლად რთული, განუხორციელებელიც კი ჩანდა. ძალოვნებს ყველა საქმე უნდა გადაედოთ და მხოლოდ ამით უნდა დაკავებულიყვნენ. თანაც, ყველაფერი ეს, რამდენიმე წელიწადს გაგრძელდებოდა. საუბედუროდ, ამის გაკეთება საჭირო არ გახდა. ჰო, საუბედუროდ, რადგან მომხდარიდან მესამე დღეს, სტუდქალაქიდან ისევ დარეკეს, ამჯერად, ორი ბიჭი იყო მოწამლული და იმაზე მძიმედ, ვიდრე გოგონები. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების მანქანას ერთი გარდაცვლილი დახვდა, მეორეს კი კუჭ-ნაწლავის რეცხვა-ხეხვა პირდაპირ სასწრაფოს მანქანაში დაუწყეს. ყველაფერი ეს გამოძიებას საქმეს უიოლებდა. ახლა ადვილი მისახვედრი იყო, ვინ გახლდნენ რეალური სამიზნეები. ბიჭების ოთახშიც ზუსტად ისეთი ქვაბი იდო, რომლიდანაც მათ წიწიბურა ჭამეს.

გამომძიებელთა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. მოწამლულ ბიჭებზეც ცუდი ძალიან ცოტამ თქვა. მათზე ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა – უცნაური ხუმრობა უყვარდათ, რაც ბევრს არ მოსწონდა. მაგალითად, ღამით ვინმეს ოთახის კარს შეაღებდნენ და მძინარეს ქვაბით წყალს ასხამდნენ, ჩუმად მიეპარებოდნენ და აშინებდნენ, საჭმელში ბევრ მარილს ან შაქარს უყრიდნენ. ამის გამო, სულ კამათი და უკმაყოფილება იყო, მაგრამ ასეთი რამის გამო, არავის კლავენ. ახლა გამომძიებლებს უნდა გაერკვიათ, ვის გაეხუმრნენ ბიჭები ისე, რომ მათ არ აპატიეს, მკვლელი გოგონების მოწამვლის შემდეგაც კი არ შეჩერდა და შური მაინც, თან ძალიან მალე იძია.

„ორმა სტუდენტმა საიდუმლოდ გვითხრა, რომ დაახლოებით, ორი კვირის წინ, ერთ-ერთ სტუდენტს ბიჭებთან სერიოზული კამათი მოუვიდა. რეალური მიზეზი არავინ იცოდა, მაგრამ საქმე მუშტი-კრივამდე მივიდა და ბიჭი მაგრად გაილახა, თუმცა დახმარება არავისთვის უთხოვია. შესაბამისად, ჩვენი მთავარი ეჭვმიტანილიც სწორედ ის გახდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ბიჭი დაკითხვაზე წაიყვანეს. იმის მიუხედავად, რომ ორი კვირა იყო გასული, სახეზე სილურჯეები მაინც ეტყობოდა და გატეხილ ცხვირსაც უცნაური ფორმა ჰქონდა მიღებული. სანამ გამომძიებლები იმას ფიქრობდნენ, დაკითხვა როგორ დაეწყოთ, დაკავებულმა მშვიდად თქვა, ვწუხვარ, გოგონები რომ მოიწამლნენ, მიხარია, რომ გადარჩნენ და ვწუხვარ, რომ იმ ბიჭებიდან მხოლოდ ერთი მოკვდაო. ეს აღიარებითი ჩვენება იყო და სანამ გადაიფიქრებდა, გამომძიებელმა წინ ფურცელი და კალამი დაუდო.

„გოგონა, რომელიც ერთი თვის წინ, ავარიაში დაიღუპა, ჩემი საცოლე იყო. ამის შესახებ არავინ იცოდა, მხოლოდ მე და მან. ყოველ დღე, აბსოლუტურად ყოველ დღე, ვხვდებოდი გაჩერებაზე, რათა სახლში ერთად წავსულიყავით. სტუდქალაქთან ერთმანეთს ვშორდებოდით, არავის რომ არ ეჭორავა. იმ საბედისწერო დღეს სოფელში იყო, ვიცოდი, რომ ღამით ჩამოვიდოდა, მაგრამ ცოტა მაინც დამაგვიანდა. დავინახე, ავტობუსიდან რომ ჩამოვიდა, განათების ბოძთან გაჩერდა, მე მათვალიერებდა, მე კი მეორე მხარეს ვიდექი და მისით ვტკბებოდი, მიხაროდა, რომ ის ჩემი მომავალი ცოლი იყო. ამ დროს, მოულოდნელად, ის ბიჭები გამოხტნენ და არაადამიანურად იღრიალეს. ჩემს გოგოს შეეშინდა, გზისკენ გახტა, ბორდიურზე ფეხი აუცდა და ინერციით, პირდაპირ, გზის სავალ ნაწილზე დაეცა. სწორედ ამ დროს გაიარა მანქანამ და გასრისა. ის ბიჭები მაშინვე გაიქცნენ, ვერავინ დაინახა, ვერავინ... ჩემს გარდა. გასვენების შემდეგ, ამ ბიჭებთან მივედი და ვუთხარი, რომ თუ მილიციაში საკუთარი ფეხით არ წავიდოდნენ, მე წავიდოდი და ყველაფერს მოვყვებოდი. მცემეს და მითხრეს, შენ მაინც არავინ დაგიჯერებს, ჩვენ ორნი ვართ, შენ ერთიო. მერე დავფიქრდი და მივხვდი, რომ რეალურად იყო იმის შანსი, ჩემთვის არავის მოესმინა. ჯერ ერთი, იმას მკითხავდნენ, აქამდე სად იყავიო, არადა, მხოლოდ გარდაცვლილ საცოლეზე ვფიქრობდი და მეორეც, რატომ უნდა დაეჯერებინა ჩემთვის მოსამართლეს და არა – მათთვის?! ამიტომ, სამართლის აღსრულება თავად გადავწყვიტე“, – განაცხადა დაკავებულმა.

ყველაფრის მიუხედავად, სასამართლომ პირადი შურისძიება არ დააფასა და დაკავებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თანაც, მოწამლული გოგონებიდან ერთ-ერთს რაღაც ისე დაუზიანდა, რომ მხედველობა დაკარგა, მეორეს კი მეტყველების პრობლემები შეექმნა და ვერ განიკურნა.

„მე მოვკალი და არ ვნანობ!“

რატომ მოკლა 24 წლის ქალმა მამინაცვალი

ბათო ჯაფარიძე

90-იანებში, საქართველოდან ძალიან ბევრი სიმდიდრე გავიდა. ქვეყნიდან გუდიაშვილისა და ფიროსმანის ნახატებიც გაიტანეს, აღარაფერს ვამბობ ანტიკვარულ ნივთებზე, რომლებიც ვაგონებით გაიზიდა და, პრაქტიკულად, უფასოდ გასხვისდა. უფასოდ იმიტომ, რომ ის თანხა, რასაც უცხოელები იხდიდნენ, იმდროინდელი საქართველოსთვის უზარმაზარი იყო, რეალურად კი... მარტივ მაგალითს გეტყვით: ძველებური ვერცხლის თასი, თავის დოქითა და ჭიქებით, 3 ათას დოლარად გაიყიდა და ზუსტად ეს თასი, „სოთბის“ აუქციონზე, ორ წელიწადში, მილიონ დოლარად შეიძინა ერთ-ერთმა მონაწილემ. სხვათა შორის, იმ თასს ქართველები მერეც გაჰყვნენ, როცა რეალური ფასი გაიგეს, მოპარვაც სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. დღეს ეს ნაკეთობა ჩეხეთში, კერძო კოლექციაში ინახება, თუმცა ეს სხვა ისტორიაა.

სწორედ 90-იანებში, თბილისის შემოგარენში, საკუთარ სახლთან, ანტიკვარიატით მოვაჭრე ჩაცხრილეს. მან ავტომობილი გააჩერა, მანქანიდან გადმოვიდა, რათა ჭიშკარი გაეღო და სწორედ ამ დროს უწია „ქილერის“ ტყვიამ. მას ავტომატის ჯერი გადაატარეს და მკვლელი გაიქცა. სწორედ რომ მკვლელი და არა – მკვლელები, რადგან მეზობლები ამბობდნენ, მხოლოდ ერთი ადამიანი გარბოდაო. შებინდებული იყო და სილუეტის გარჩევა ჭირდა, თუმცა მოწმეები დაზუსტებით ამტკიცებდნენ, ვინც გარბოდა, ნიღაბი ეკეთა და შუა დღეც რომ ყოფილიყო, სახეს მაინც ვერ დავინახავდითო. გარდაცვლილს ერთი წლით ადრე ცოლი მოუკვდა და მხოლოდ ქალიშვილი დარჩა, 24 წლის გოგონა, რომელიც დაბნეული იყურებოდა და არ იცოდა, რა ექნა. მეტიც, მან სამართალდამცავებს სთხოვა, ეგებ, ღამით დაცვა დატოვოთ, არავინ იცის, ვინ მოვაო, მაგრამ დაცვის დატოვების საჭიროება არ იყო – გარდაცვლილის დაკრძალვამდე, სახლში რამდენიმე ნათესავი რჩებოდა, მერე კი... მერე, გოგონას საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად უნდა ეზრუნა, მაგალთად, დაცვა აეყვანა, რაც ადვილად უნდა მოეხერხებინა, რადგან თბილისის შემოგარენში დატოვებული სახლის გარდა, მის მშობლებს დედაქალაქში ორი ბინაც ჰქონდათ. რაც მთავარია, ყველამ იცოდა, რომ ანტიკვარიატით მოვაჭრე განსაკუთრებით ძვირფას ნივთებს არ ყიდდა, იტოვებდა და ძალიან სოლიდური კოლექციის მფლებელი იყო. მოკლედ, გოგო უზარმაზარი მემკვიდრეობის მფლობელი გახდა, მაგრამ როგორც თავად ამბობდა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომელი ნივთი რამდენი ღირდა და როგორ უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება.

გამომძიებლები კი თავს იმტვრევდნენ, ვის შეიძლებოდა დასჭირვებოდა მამაკაცის სიკვდილი, რომელსაც თითქოს ყველასთან ყველაფერი დალაგებული ჰქონდა. ის არასდროს ჰკიდებდა ხელს ისეთ ნივთს, რომელიც ზუსტად იცოდა, რომ მოპარული იყო, არასდროს ამბობდა უარს ე.წ. კანონიერი ქურდებისგან ეყიდა სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი ძვირფასეულობა და ყველაზე კარგი გადამხდელის სახელიც ჰქონდა. კარგ ურთიერთობაში იყო მებაჟეებთანაც და მცირე ნივთების გატანა კი არა, თუ დასჭირდებოდა, კონტეინერს ისე გაიტანდა საზღვარზე, არავინ ჰკითხავდა, რა მიგაქვსო. ძალოვნებმა მოჩხრიკეს და გაარკვიეს, რომ ანტიკვარიატით მოვაჭრის მკვლელს ე.წ. კანონიერი ქურდებიც გამალებით ეძებდნენ, რადგან მათ ხელის ძალიან კარგი დამცლელი მოუკლეს და მოუკლეს ისე, რომ „შავმა სამყარომ“ არაფერი იცოდა ანუ გადაახტნენ, არ გაითვალისწინეს, რაც კრიმინალთა ავტორიტეტს გვარიანად ლახავდა.

90-იანი წლები იდგა, „კანონიერი ქუდები“ „ბეზპრიდელს“ ისედაც ძლივს უმკლავდებოდნენ, ყველას და ყველაფრის კონტროლი არ გამოდიოდა, ახლადგაჩენილი საძმოები მათ სიტყვას სულ უფრო იშვიათად ითვალისწინებდნენ, ამ ვითარებაში, მკვლელის პოვნა აუცილებელზე აუცილებელი იყო. რაღა თქმა უნდა, თავისი ინტერესი ჰქონდათ სამართალდამცავებსაც, რომლებსაც კისერზე გაუხსნელი საქმე და თანაც მკვლელობა, არ აწყობდათ. მკვლელობიდან თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერც კრიმინალურმა სამყარომ და ვერც სამართალდამცავებმა, მკვლელის კვალს ვერ მიაგნეს. ის თითქოს არსაიდან გამოჩნდა და ასევე, უკვალოდ გაქრა. რაც მთავარია, ვერავინ ხსნიდა, რა მოტივი უნდა ჰქონოდა მკვლელს, როცა სახლიდან არაფერი წაიღო და გარდაცვლილის სახლში ნაპოვნი წიგნაკიდან, სადაც ის ბუღალტერიას აწარმოებდა, გაირკვა, რომ არავისი არაფერი ემართა, მისი ვალი კი ორ მეზობელს ჰქონდა, რომლებმაც გარდაცვალების დღესვე დააბრუნეს. ორივე შემთხვევაში, თანხა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ამის გამო, სასიკვდილოდ არავინ არავის გაიმეტებდა. ყველაფერი თითქოს ჩვეულებრივად მიდიოდა, მეტიც, გოგონამ დაცვა კი არა, ბუღალტერი აიყვანა, საკმაოდ წარმოსადეგი მამაკაცი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მცველის ფუნქციებსაც ადვილად შეითავსებდა და აგენტურამ ინფორმაცია მოიტანა, ბოლო დროს, მამაკაცი გოგონასთან ერთად სახლში რჩება ანუ ღამეს იქ ათენებსო.

გაჩნდა ახალი ვერსია. იმის მიუხედავად, რომ მამაკაცი აშკარად ჯანზე იყო, ასაკის მიხედვით, 50 წელზე ნაკლების არ იქნებოდა. შესაბამისად, დიდი იყო იმის ალბათობა, რომ მამა გოგოს, სწორედ ამ მამაკაცთან ურთიერთობას უკრძალავდა და კაცმა მომავალი სასიმამრო, უბრალოდ, მოკლა, რის შედეგადაც, ყველაფერს ერთად დაეპატრონა. დაიწყო მისი პიროვნების შესწავლა, თუმცა ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახეს. მამაკაცი წარმოშობით რუსი იყო, რუსეთში, დიდ საწარმოებში მუსაობდა ბუღალტრად, ანტიკვარიატშიც გადასარეად ერკვეოდა და საქართველოში სულ რაღაც ნახევარი წლის ჩამოსული გახლდათ. ის ბინას ქირაობდა, მაგრამ სახლის მეპატრონე გააფრთხილა, რომ ოთახს მალე დაცლიდა, რადგან სხვაგან გადადიოდა საცხოვრებლად. ის სხვაგან კი, ყველაზე დიდი ალბათობით, სწორედ მოკლული მამაკაცის სახლი იყო. სამართალდამცავებმა ორივე მათგანზე თვალთვალი დააწესეს.

კაცი, პრაქტიკულად, არაფერს აკეთებდა, როცა გოგონა შინ არ იყო, ქუჩაში სეირნობდა, ძირითადად, მტკვრის სანაპიროზე, ხანდახან სკამზე ჩამოჯდებოდა, გაზეთებს კითხულობდა, მაგრამ როგორც კი გოგონას შინ დაბრუნების დრო მოვიდოდა, მაშინვე სახლში მიდიოდა და შინ ხვდებოდა.

რაც შეეხება გოგოს, ის ცდილობდა, სილამაზის ერთ-ერთი სალონი ეყიდა და მოლაპარაკებებს აწარმოებდა. მერე... მერე ახალგაზრდა კაცს ხვდებოდა, რომლის მიმართაც გულგრილი აშკარად არ იყო, მერე კი შინ მიდიოდა და... პირდაპირ ჭიშკართან, უკვე ასაკოვან მამაკაცს, მთელი სულითა და გულით ეხუტებოდა. გამოძიებას საფუძველი არ ჰქონდა, რომ ან ერთი დაეკავებინა, ან მეორე, მაგრამ ცხადზე ცხადი იყო, რაღაც ხდებოდა, მაგრამ ის „რაღაც“ ადვილი მისახვედრი არ გახლდათ.

როგორც იქნა, გოგონამ სალონი შეიძინა და მის ახლებურად მოწყობას შეუდგა. ძალიან უხაროდა ყველაფერი ეს და ამ საქმეში ორივე მამაკაცი ეხმარებოდა. ჰოდა, როცა დიდი სარკეები შეიტანეს, მუშებმა რაღაც ვერ გათვალეს, სარკე შესასვლელ კარს წამოედო, დაბზრიალდა და გატყდა. ნამსხვრევი გოგონას ფეხში შეერჭო და სისხლმა შადრევანივით გაასხა. მამაკაცებს სასწრაფოსთვის არც დაუცდიათ, ფეხზე ქამარი გადაუჭირეს და საავადმყოფოში გააქანეს. ოპერმუშაკები, რომლებიც ყველაფერ ამას უყურებდნენ, უკან მიჰყვნენ. საავადმყოფოში გოგონა უგონოდ მიიყვანეს, ემოციის, ან ბევრი სისხლის დაკარგვის ფონზე, გზაში გაითიშა.

„ბევრი სისხლი დაკარგა, უნდა გადავუსხათ, ჩვენ ერთი ჯგუფი გვაქვს, ჩემი შვილია“, – უმისამართოდ ყვიროდა ასაკოვანი კაცი და ყველაფერი ეს, ოპერმუშაკებს კარგად ესმოდათ. როცა პროცედურები ჩატარდა და გოგონას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მამაკაცს ხელზე ბორკილები დაადეს და განყოფილებაში წაიყვანეს.

„საქართველოში ადრეც ვიყავი, ერთი გოგო მომეწონა და მასთან ორი თვე ვიცხოვრე. მერე მოსკოვში დაბრუნება მიხდა, თან ისე, რომ ამ გოგოს ვერ გამოვემშვიდობე. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოვახერხე დარეკვა, რადგან მეგონა, რომ ტელეფონის ნომერი დაკარგული მქონდა, მაგრამ შემთხვევით ვიპოვე. როგორც მითხრა, მე აღარ დამელოდა, ასე რომ მივაგდე და გათხოვდა. შარშან დამირეკა... ვკვდები, მე გოგონა მყავს, შენი შვილია, მაგრამ არ იცისო. შოკი იყო, ნამდვილი შოკი. მე ცოლი არ მომიყვანია, რაღაც ვერ მოვაბი თავი და ამ დროს, გოგონას მამა აღმოვჩნდი. იქ ყველაფერი გავყიდე და საქართველოში წამოვედი, აქ ვაპირებდი დასახლებას, ჩემი გოგოს გვერდით. შევხვდი კიდეც, ყველაფერი გადასარევად გაიგო, მერე კი ის უბედურება მოხდა, მას მამინაცვალი მოუკლეს, თუმცა, როგორც ვიცი, ბოლომდე არ იცოდა, რომ სხვისი შვილი გაზარდა, მეც თქმა ვერ მოვასწარი, ფორმას ვეძებდი, ყველაფერი როგორ მიმეწოდებინა“, – განაცხადა დაკავებულმა.

ის, რომ ანტიკვარიატის სპეციალისტი, შესაძლოა, ამ კაცს მოეკლა, პრაქტიკულად, გამოირიცხა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი ის, რომ შვილთან გადასარევი ურთიერთობა ააწყო და მამინაცვალს რომც დაეშალა, ის მამას მაინც შეხვდებოდა. მეორე და მთავარი – მოსკოველ სტუმარს მართლაც სოლიდური დანაზოგი ჰქონდა და ისეთ სახლს, როგორშიც გარდაცვლილი ცხოვრობდა, ხუთს იყიდდა ანუ მოტივი, უბრალოდ, არ ჰქონდა. მაშ, ვინ და რატომ მოკლა კაცი? ამ დროს საავადმყოფოდან დარეკეს, ექიმი გამომძიებელს კითხულობდა.

„არ ვიცი, რაში დაგეხმარებათ, მაგრამ გოგონას, რომელსაც ფეხი დაუზიანდა, რთული ოპერაცია გავუკეთეთ და როცა ნარკოზიდან გამოდიოდა, ბოლო ხმაზე ყვიროდა, ხო, მე მოვკალი, ღირსი იყო და მოვკალიო“, – თქვა ექიმმა.

ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს და საავადმყოფოში წავიდნენ. მეტიც, მათ ჩხრეკის ორდერი მოიპოვეს და სახლში საგულდაგულოდ გადამალული შავი ტანისამოსი ამოიღეს, რომელსაც დენთის კვალი და გოგონას თმა ჰქონდა შერჩენილი.

„მამინაცვალი რომ იყო, მეც ცოტა ხნის წინ გავიგე. არ მჯერა, რომ ეს არ იცოდა, რადგან ძაღლივით მექცეოდა მთელი ცხოვრება. როცა მამაჩემი გამოჩნდა, ცას ვეწიე სიხარულით. მამამ მითხრა, შევეცდები, ავუხსნა, რა და როგორ მოხდა, უბრალოდ, დრო მჭირდება საჭირო სიტყვების მოსაძებნადო. სამაგიეროდ, მე არ მჭირდებოდა და პირში მივახალე, ნამდვილი მამა მყავს, შენ არავინ არ ხარ-მეთქი. ყურადღებით დამაკვირდა და მითხრა, აქ მოსული აღარ დაგინახო, შენ არც სახლი გაქვს, არც კარი და არც არაფერი, ყველაფერს ძმისშვილებს დავუტოვებო. ავტომატი ადრე იყიდა, მერე მიავიწყდა, მაგრამ მე ვიცოდი, სადაც ჰქონდა და სროლაც ვიცოდი. ჩვენმა თაობამ იცის ავტომატის მოხმარება. ჰო, მე მოვკალი და არ ვნანობ, 24 წელი ჯოჯოხეთად მიქცია და ამიტომ არ ვნანობ. თანაც, ზუსტად ვიცი, რომ ციხეში დიდხანს არ ჩავჯდები“, – ყვიროდა გოგო.

ქართულმა სასამართლომ გოგონას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და მემკვიდრეობაზე ყოველნაირი უფლება ჩამოართვა, თუმცა... ერთ წელიწადში, რაღაც მანქანებით, გოგო კვლევებისთვის რუსეთში გადაიყვანეს, შემდეგ სასჯელის მოხდა იქ გააგრძელა, მაგრამ აქაური ნაცნობები ამბობენ, მკურნალობა და სასჯელის მოხდა რუსეთში გადაყვანის მიზეზი იყო, თორემ აეროპორტში, პირდაპირ, ნამდვილ მამას ჩაუსვეს მანქანაში და შინ გაატანესო.

ბათო ჯაფარიძე

ტერმინი – „ბანკირი“ საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად შემოვიდა. მანამდე იყო ბანკის დირექტორი, ბანკის მმართველი, ან ბანკის გამგე. იმის მიუხედავად, რომ დღეს ბანკის კი არა, მცირე საფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელიც კი დიდ ფულთანაა გაიგივებული, ბანკის შეფები არც ადრე იყვნენ მხოლოდ ხელფასზე და ეს თანამდებობა კომუნისტების დროსაც კი პრესტიჟულად ითვლებოდა. თუ გახსოვთ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ლამის, ყველა სარდაფში ბანკი გაიხსნა და არარეალური პროცენტებით ცდილობდნენ, მოსახლეობა მოეტყუებინათ – ხალხს საკთარი დანაზოგი ბანკში შეჰქონდა და ანაბრებდაკარგული ადამიანები არცთუ იშვიათად ტყუვდებოდნენ – დიდი სარგებლის მიღების იმედად, უკანასკნელ თეთრებს იმეტებდნენ და მერე, ერთ დღეს აღმოაჩენდნენ, რომ მათი ბანკის ადგილზე, კაფე ან სასადილო იყო გახსნილი, ბანკი კი უკვალოდ ქრებოდა და მხოლოდ ერთ სიტყვას ტოვებდა – „გავკოტრდით“.

ვინ არის ბანკირი, ვისაც ომის ვეტერანმა 300 ცალი ერთთეთრიანი აჭამა

უცნაური კრიმინალური ამბის დეტალები

„ბანკები და ჯიპები ახალი შემოსული იყო. თუ გახსოვს, თავიდან „ვრანგლერის“ ჯიპები გამოჩნდა, პატარები და თუ ის გყავდა, დონე იყავი. აი, იმ ჯიპის „ტორპედოზე“ უცხოური სიგარეტის კოლოფიც თუ ეგდო, მაშინ ძალიან დიდი ფული გქონდა. ჰოდა, სწორედ ასეთი ჯიპიდან ჩამოსვეს ერთ-ერთი ბანკის მმართველი 90-იანებში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. თვითმხილველი მხოლოდ ერთი ადამიანი გვყავდა, ისიც ლოთი, რომელმაც ყველაფერი დაინახა და მანამ არ მოგვიყვა, სანამ არაყი არ ვუყიდეთ. სწორედ მისი ჩვენებით გავიგეთ, რომ ორი თავდამსხმელი იყო, რომლებმაც 07-ის მარკის ავტომობილით გადაუჭრეს გზა, თავზე ტომარა ჩამოაცვეს და „აბრეზის“ მუქარით, მანქანის საბარგულში ჩატენეს. ჰო, „აბრეზის“ და არა სხვა იარაღის, რამაც ძალიან გაგვაკვირვა, რადგან მაშინ ის დრო იყო, ავტომატს დეზერტირების ბაზარზეც რომ შეიძენდი და თანაც მარტივად“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, მაშინვე დაიკითხნენ მისი ოჯახის წევრები, ჰქონდა თუ არა ვინმესთან უთანხმოება და გაირკვა, რომ რეალურად ისეთი მტერი არ ჰყავდა, რომელიც ასე გარისკავდა. ადვილი მისახვედრია, იყვნენ უკმაყოფილო კლიენტები, მაგრამ ისეთი არავინ, ეს რომ გაებედა და თანაც, ბანკი პირობითად ერქვა, თორემ 5 ათას დოლარზე მეტი იქ არც არავის შეჰქონდა, არც არავის გაჰქონდა და ამ თანხის გამო, ვინმე რომ გაეტაცებინათ... უდიდესი ალბათობით, გამტაცებლები მალე გამოსასყიდს მოითხოვდნენ და ასეც მოხდა – ოჯახმა წერილი მიიღო და გამტაცებლები 50 ათას დოლარს ითხოვდნენ.

ოჯახი გადახდას დათანხმდა, დათანხმდა უყოყმანოდ და ფული ერთ საათში მაგიდაზე იდო. სამართალდამცავებმა სპეცოპერაცია დაგეგმეს. გამტაცებელმა მოითხოვა, ფული ცელოფანში ჩაედოთ, ცელოფანი – ჩანთაში, ჩანთისთვის თოკი მოებათ, ბარათაშვილის ხიდიდან მტკვრისკენ დაეშვათ და წყლის ზედაპირზე გაეჩერებინათ. გატაცებულის ცოლი ასეც მოიქცა და როცა ჩანთა წყლის ზედაპირს მიუახლოვდა, წყლიდან ვიღაცამ ამოყვინთა, დანით თოკი გადაჭრა და ჩანთასთან ერთად, წყლის ქვეშ გაუჩინარდა. სამართალდამცავები ასეთი სცენარისთვის მზად არ იყვნენ. მათ ორი კატერი ჰყავდათ გამზადებული, მაგრამ მყვინთავები ნამდვილად – არა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის პირი, ვინც ჩანთა წაიღო, ჟანგბადის ბალონით იყო აღჭურვილი და შეეძლო, 2-3 კილომეტრი წყალქვეშ თავისუფლად ეცურა. ახლა საქმე გამართლებაზე იყო – სამართალდამცავთა ნაწილი მტკვარს ზემოთ აუყვა, უფრო დიდი ნაწილი – ქვემოთ. ის ვიღაც წყლიდან აუცილებლად უნდა ამოსულიყო და თუ ბედი არ გაუღიმებდა, ძალოვნების ხელში აღმოჩნდებოდა.

„სწორედ იმ პერიოდში, მენისკი მაწუხებდა და შესაბამისად, ვერც ზევით წავიდოდი, ვერც ქვევით. ამიტომ, ბარათაშვილის ხიდზე გავჩერდი და ხან ერთ მოაჯირზე გადავეკიდებოდი და გავცქეროდი სანაპიროებს, ხან – მეორეზე. ასე გავიდა, დაახლოებით, 40 წუთი და იქვე, ხიდის ქვეშ, მოძრაობა შევნიშნე. დავაკვირდი და ეს ჩემი ცოდვით სავსე, ფრთხილად ამოდის წყლიდან. თურმე, რას ეძებ, არსად წასულა, იქვე ჩაუყვინთავს იმის იმედად, რომ ჩვენ სანაპიროს გავუყვებოდით და ასეც მოხდებოდა, ჩემი მენისკი რომ არა, ადგილზე, ალბათ, არავის დავტოვებდი. იარაღი მოვიმარჯვე და კოჭლობით დავეშვი, დავუმიზნე და ისეთი ხმით ვუთხარი, თუ გაქცევას დააპირებ, გესვრი-მეთქი, მაშინვე ხელები ასწია“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

დაკავებულის დანახვისთანავე, ოჯახმა მხოლოდ ერთი რამ იკითხა – ცოცხალია? და როცა ეჭვმიტანილმა მხრები აიჩეჩა, გამომძიებელმა ვერ მოითმინა და წაუთაქა, მაგრამ...

„ის ბანკირი ჩემი დის საყვარელია. მისი გატაცების შესახებ რომ გავიგე, ვიფიქრე, ფულს გავაკეთებ-მეთქი. მისამართი კი ვიცოდი, მყვინთავად ვმუშაობ, აღჭურვილობა მაქვს, ეს გეგმა მოვიფიქრე, მაგრამ არ გაამართლა. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ გაიტაცა ის კაცი და ცოცხალია თუ არა. მე ფულის შოვნა მინდოდა“, -განაცხადა დაკავებულმა და ყველაფერი ეს, გატაცებულის ცოლსაც ესმოდა. მან მხოლოდ დის სახელი და გვარი ჰკითხა, შემდეგ პასტა და ფურცელი აიღო და გამომძიებელს კიდევ სამი ქალის სახელი დაუწერა, ყველა ჩემი ქმრის საყვარელია, გადაამოწმეთო. გამომძიებელმა გაოცებისგან პირი დააღო, მაგრამ ქალმა ხელი აიქნია, აღარ ვართ იმ ასაკში, ერთმანეთს რომ დავშორდეთ და ბედი ვეძებოთ, შევეგუეო.

რადგანაც თავდამსხმელები კავშირზე არ გამოდიოდნენ, დიდი იყო საფრთხე, რომ ბანკირი მოეკლათ, ამიტომ საყვარლებს მაშინვე ჩამოუარეს, მაგრამ სამივე მათგანი გლოვობდა, ამბობდნენ, არაფერი ვიცითო და მათი გარემოცვაც არ იყო ისეთი საეჭვო, ამ მასშტაბის გატაცება რომ გაერისკათ.

ძალოვნებს მოსვენებას „აბრეზი“ არ აძლევდა. რატომ მაინცდამაინც ეს იარაღი? ყველაფერი რაღაც სპონტანურ გადაწყვეტილებას ჰგავდა, ვიღაც გაბრაზდა ბანკირზე, სანადირო თოფი გადაჭრა, კაცი გაიტაცა და... შეიძლება, მოკლა. ის, რომ გამოსასყიდს არავინ ითხოვდა, ოჯახსაც აწუხებდა და გამოძიებასაც. ასე გავიდა სამი დღე. სამი დღის შემდეგ კი...

„განყოფილებაში ზარი შემოვიდა, საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მამაკაცი მიიყვანეს და ერთ-ერთი ექთანი ამტკიცებს, ეს სწორედ ის ბანკირია, რომელიც გაიტაცეს და რომელზეც მთელი თბილისი ლაპარაკობსო. ამიტომ, მაშინვე კლინიკაში წავედით და იძულებული გავხდი, საოპერაციოში შევსულიყავი, რომ მენახა, ჩემი კლიენტი იყო თუ არა ის კაცი. დავხედე, მივხვდი რომ ბანკირი იყო და ექიმს წავჩურჩულე – რა სჭირს? გადარჩება? ექიმმა მხრები აიჩეჩა, ხურდა ფულებით აქვს სტომაქი სავსე, მოწამვლაც დაწყებულიაო. მეგონა, მეხუმრებოდა, რადგან ბანკირის ოპერაციას აკეთებდა და ცოტა არ იყოს, გავბრაზდი. გარეთ გამოსულს, მისი ოჯახის წევრები შემომეხვივნენ და ომახიანად გავამხნევე, ბრმა ნაწლავის ოპერაციას უკეთებენ, გახეთქილი აქვს, მაგრამ საშიში არაფერია-თქო. აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, ექიმი თქვენის ქმრის კუჭიდან ხურდებს იღებს-თქო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ოპერაცია სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. გამომძიებელი ექიმის კაბინეტში, მის სავარძელში თვლემდა, როცა ქირურგი შევიდა და მაგიდაზე ლანგრით ხურდა ფულები დაუდო.

„ზუსტად 300 ცალია. ყველა 1-თეთრიანია, წონაშიც არაა მცირე, მაგრამ როგორ აიძულეს ყველაფერ ამის გადაყლაპვა, წარმოდგენა არ მაქვს. რაც შეეხება პაციენტს, ამ დილით, გამთენიისას, 07-მარკის ავტომობილიდან გადმოაგდეს საავადმყოფოს ჭიშკართან“, – თქვა ექიმმა.

გამოდიოდა, რომ ბანკირი კონკრეტული მიზნით გაიტაცეს. 300 ცალი 1-თეთრიანის გადაყლაპვაც არ იყო მარტივი და რაც მთავარია, იმისთვის, ვინც ეს გააკეთა, კონკრეტული დატვირთვა ჰქონდა და კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა. ამიტომ, ძალოვნებმა ბანკის თანამშრომლები ახლიდან გამოჰკითხეს და...

„ამას წინათ, ერთი მოხუცი ქალი იყო მოსული, თანხა ჰქონდა შემოტანილი და უკან გაჰქონდა, დაახლოებით, 3 ათასი ლარი იყო. რომ დავიანგარიშეთ, 3 ლარი დარჩა ანგარიშზე და ბებომ თქვა, ეგ 3 ლარიც მომეცით, ანგარიში დამიხურეთო. ამას შეესწრო ჩვენი უფროსი, გაბრაზდა ძალიან და გვაიძულა, 3 ლარი 1-თეთრიანებით მიგვეცა. ბებომ თავიდან კი იწუწუნა, რატომ კადრულობთო, მაგრამ მერე გამოგვართვა და წავიდა“, – განაცხადა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

მოხუცის პოვნა არ გასჭირვებიათ და არც მისი შვილიშვილის, რომელსაც ავღანეთიც ჰქონდა მოვლილი, სამაჩაბლოც და აფხაზეთიც. როცა ომიდან დაბრუნდა, იარაღი ჩააბარა და სწორედ ამის გამო იყო, ძველებურ თოფს რომ მოაჭრა ლულა და „აბრეზად“ გადააკეთა. ჰო, სწორედ მან გაიტაცა მეგობართან ერთად ბანკირი და იარაღის მუქარით აიძულა, 1-თეთრიანები ეჭამა. როცა ბოლომდე შეაჭამა, ბანკირი გაითიშა და მან ის საავადმყოფოსთან დატოვა. იმის გამო, რომ არც ბანკირმა იჩივლა და რეალურად, არც სამართალდამცავებს ჰქონდათ დიდი სურვილი, ომის ვეტერანი დაეკავებინათ, ყველაფერი მარტივად დასრულდა, თუმცა... ვეტერანს „აბრეზის“ ჩაბარება მაინც მოუხდა.

პოლიციამ ზუგდიდში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ე.ც., არასრულწლოვნის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ზუგდიდში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა არასრულწლოვანს – 2007 წელს დაბადებულ ს.მ.-ს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ე.ც. მომხდარიდან მალევე, ზუგდიდში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პოლიციამ თბილისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ს.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, ნაქირავებ ბინაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ახლად გაცნობილ ქალს – 1986 წელს დაბადებულ შ.ღ.-ს, რომელიც შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ს.ა. მომხდარიდან მალევე, თბილისში დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაურმა თბილისისა და რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა თბილისისა და რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი ჩაატარა. პოლიციის დეპარტამენტების დირექტორებთან შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე დაესწრო.

ვახტანგ გომელაურმა პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებისგან დედაქალაქსა და რეგიონებში დანაშაულთან ბრძოლის, ასევე, პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა გატარებულ და მიმდინარე რეფორმებზე, დანაშაულთან ბრძოლის შედეგებზე და საზოგადოების უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა. შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, გარკვეული ტიპის დანაშაულის რაოდენობის კლება დაფიქსირდა, გახსნის მაჩვენებელმა კი მოიმატა.

მინისტრმა დანაყოფების ხელმძღვანელებთან ასევე ისაუბრა მომავალ წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მთავრობის მეთაურის ინიციატივით, სამინისტროს თანამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურების 20%-ით გაზრდის შესახებ, ასევე, საპოლიციო საქმიანობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სამუშაოებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

ვახტანგ გომელაურმა შედეგიანი საქმიანობისთვის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, კომპლექსური ღონისძიებები 2023 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ტაბახმელაში პოლიციის ახალი შენობა გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ტაბახმელაში პოლიციის შენობა გახსნა. მინისტრმა, პირველ მოადგილესთან, შალვა ბედოიძესთან და მოადგილესთან, გიორგი ბუთხუზთან ერთად, ახალი შენობა დაათვალიერა და თანამშრომლებს თანამედროვე სტანდარტების პოლიციის შენობაში საქმიანობის გაგრძელება მიულოცა.

ტაბახმელაში, პოლიციის განყოფილება ამ დრომდე, დროებით იყო განთავსებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოძველებულ შენობაში. პოლიციის ახალი შენობა კი, ახალ ლოკაციაზე აშენდა.

ტაბახმელას პოლიციის სამმართველოში იმუშავებს კრიმინალური პოლიციის 25 თანამშრომელი, რომლებიც ადმინისტრაციულად თბილისს შემოერთებული დასახლებების – წავკისის, შინდისისა და კოჯრის, ასევე, ოქროყანის მოსახლეობას მოემსახურებიან.

შენობაში განთავსებულია ნივთმტკიცებების, საიარაღო, ამოცნობის, მოსასვენებელი და სასადილო ოთახები, აგრეთვე, სპორტული დარბაზი. ოპერატიული, საგამოძიებო, საუბნო მიმართულებით მომუშავე და დაცვის პოლიციის თანამშრომლებისთვის მოწყობილია სამუშაო სივრცეები. ახლად აშენებული, თანამედროვე სტანდარტების შენობა უახლესი ინვენტარით არის აღჭურვილი და ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე.

პოლიციის ახალი შენობის დათვალიერების შემდეგ, ვახტანგ გომელაურმა თანამშრომლებთან სამუშაო თათბირი ჩაატარა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტებს, რომელთა ფარგლებში, ბოლო წლებში, საქართველოს მასშტაბით, უწყების დანაყოფებისთვის არაერთი ახალი შენობა აშენდა. პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, პოლიციელებისთვის ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნისა და სოციალური გარანტიების გაუმჯობესების მიზნით, იზრდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საბიუჯეტო სახსრები. ამასთან, მთავრობასთან კოორდინაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია პოლიციის შენობების რემონტი, საპოლიციო ბაზების მშენებლობა-რემონტი, შეიარაღებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

მოსახლეობისთვის საპოლიციო მომსახურების ხარისხისა და ყველა თანამშრომლისთვის სამუშაო პირობების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესების მიზნით, ინფრასტრუქტურული პროექტები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება.

ვახტანგ გომელაური სამინისტროს საფეხბურთო გუნდის წევრებს შეხვდა და დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური სამინისტროს საფეხბურთო გუნდის წევრებს შეხვდა. გუნდმა ცოტა ხნის წინ ევროპის საფეხბურთო ბიზნეს-ლიგების გაერთიანებულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, პირველი ადგილი დაიკავა და საერთაშორისო კორპორატიული თასის მფლობელი გახდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გამარჯვებულ სპორტსმენებს ჩემპიონობა მიულოცა, მადლობის სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი.

ვახტანგ გომელაურმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა თანამშრომლებში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერის მნიშვნელობას. შინაგან საქმეთა მინისტრმა სამინისტროს საფეხბურთო გუნდის წევრებს სამომავლო ასპარეზობებზე მხარდაჭერა აღუთქვა და წარმატებები უსურვა.

ევროპის საფეხბურთო ბიზნეს-ლიგების გაერთიანებული ჩემპიონატი ნოემბრის დასაწყისში, თურქეთში, ქალაქ ანტალიაში ჩატარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საფეხბურთო გუნდი ტურნირის ფინალში გავიდა და თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის გუნდს YAPI KREDİ-ს დაუპირისპირდა. ქართველმა სპორტსმენებმა თურქი მეტოქეები დაამარცხეს ანგარიშით – 7:0 და საერთაშორისო კორპორატიული თასი მოიპოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საფეხბურთო გუნდი არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია.

ტალახაძის მიღწევა, რომელსაც ვერასდროს ვერავინ მოხსნის

90-იანი წლების გარიჟრაჟზე, რაჭასა და იმერეთში მიწისძვრა მოხდა. მაშინ არაერთი შენობა დაინგრა, ადამიანებმა სახლები დაკარგეს, ქუჩაში დარჩნენ, ბოლოს და ბოლოს, ერთი სოფელი აღიგავა პირისაგან მიწისა, მთაში ჩავარდა და მთელი სოფელი (ორი ადამიანის გარდა) დაიღუპა. სწორედ იმ დროს, რაჭაში, ჯრუჭის მონასტერი დაზიანდა. მეათე საუკუნის ნაგებობიდან უზარმაზარი ლოდები გადმოცვივდა და მათი უმრავლესობა ხევში ჩავარდა. წლების წინ დაიწყო ტაძრის აღდგენა, მაგრამ... ერთ-ერთი ლოდი, წმინდა გიორგის ბარელიეფით, ისეთ ადგილზე იყო ხევში ჩავარდნილი, ტექნიკა ვერ მიუდგა და ვერც ორი ადამიანი იკიდებდა ფეხს. ამიტომ, მისი ამოტანა ვერ ხერხდებოდა.

ალბათ, იფიქრებთ, სპორტთან ეს რა კავშირშიაო და... წმინდა გიორგის ბარელიეფიანი ლოდი ხევიდან ლაშა ტალახაძემ ამოიტანა, მთაზეც მარტომ აიტანა და კუთვნილ ადგილას დააბრძანა. სხვისი რა გითხრათ, და ჩვენი აზრით, ეს ლაშასთვის, დღემდე მოგებული ყველაზე დიდი ჯილდოა.

მსოფლიომ უნდა გაიგოს – რაგბი ჩვენი თამაშია

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა სასწაული მოახდინა და უელსში, უელსს მოუგო. ეს, იცით, დაახლოებით, რას ნიშნავს? საფეხბურთო დონეზე, ჩვენმა ნაკრებმა „მარაკანაზე“, ბრაზილია რომ დაამარცხოს. მატჩს, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტიც ესწრებოდა, ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს ექვს ერში დამატებაზე საუბრები უფრო გააქტიურდებოდა. რეალურად, საქართველოს მოგება, ჩვენს გარდა, არავის აწყობდა, რადგან ზედმეტი თავის ტკივილი და რამეს შეცვლა, სწორედ საქართველოს გამო, ევროპული რაგბის მამებისთვის ნაკლებად საინტერესოა.

ბიჭებმა არ იბრძოლეს, იომეს, მოედანზე ყველაფერი დატოვეს და ნანატრი გამარჯვება მოიპოვეს.

„უელსი შოკშია, შოკშია ევროპის რაგბის კავშირიც. საქართველომ დაამტკიცა, რომ ექვსი ერის გუნდებთან არათუ ტოლ-სწორად თამაში, არამედ, მათი დამარცხებაც შეუძლია. ახლა, მომავალი წლის შემოდგომაზე, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ქართველები იმავე უელსთან თამამად გავლენ და იგივეს გაკეთებას შეეცდებიან. საქართველო ექვსი ერის კარზე აღარ აკაკუნებს, ის მას ფეხით აღებს“, – დაწერა მეორე დღეს უელსურმა მედიამ.

სკანდალი გრძელდება – ფიფამ ლგბტქ სამკლაური ოფიციალურად აკრძალა

მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე, ფიფას მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ყველა ნაკრების კაპიტანი ლგბტ დროშის ფერებში გადაწყვეტილი სამკლაურით გაიყვანდა გუნდს სათამაშოდ. ამით ფიფა ქვიარ-თემს უცხადებდა მხარდაჭერას, მაგრამ მერე გაირკვა, რომ არათუ სამკლაურის გაკეთება, ხმამაღლა ლგბტქ თემზე საუბარიც კი, ყატარში ციხით ისჯება. ყატარის მთავრობის ოფიციალურმა პირებმა ღიად და მკაფიოდ განაცხადეს, რომ ნებისმიერს, ვინც სამკლაურს გაიკეთებდა, პასუხს მათი კანონმდებლობის მიხედვით აგებინებდნენ და მნიშვნელობა არ ექნებოდა, ციხეში არგენტინის ნაკრების კაპიტან ლიონელ მესის გაუშვებდნენ, თუ სენეგალელ კალიდუ კულიბალის.

ამის შემდეგ, ნაკრებების კაპიტნებმა ერთმანეთის მიყოლებით უარი თქვეს სამკლაურის გაკეთებაზე, აქაოდა, ადგილობრივ კანონებს პატივი უნდა ვცეთო და მხოლოდ გერმანიის ნაკრების კიპერი და კაპიტანი, მანუელ ნოიერი გაჯიუტდა – მაინც გავიკეთებო. 21 ნოემბერს, ფიფამ ოფიციალურად აკრძალა ლგბტქ ფერებში გადაწყვეტილი სამკლაურის გაკეთება და ნოიერიც მკაცრად გააფრთხილა, რომ ეს არ გააკეთოს.

„ეს უსამართლობაა. არ მესმის, ნაკრებების კაპიტნების. მათ მარტო დამტოვეს, ახლა კი ფიფამ უკან დაიხია და მეც იძლებული ვარ, წესებს დავემორჩილო. ამის მიუხედავად, მე ლგბტქ ფასეულობებს პატივს ვცემ“, – განაცხადა ნოიერმა და...

ზოგადად, როცა ფეხბურთელი ხარ, უმჯობესია, მხოლოდ ბურთზე იფიქრო და ბურთი ათამაშო.

თიბილაშვილმა მსოფლიო თასი მოიგო

უნგრეთის ქალაქ ეგერში, პარამოფარიკავეთა შორის, მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი ჩატარდა. ქართულმა დელეგაციამ წარმატებით იასპარეზა და ოქროს მედლით დაბრუნდა. პირველობა არავის დაუთმო ნინა თიბილაშვილმა, რომელმაც დაძაბულ ფინალში უკრაინელი მეტოქე დაამარცხა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ირმა ხეცურიანი ამჯერად მეხუთე ადგილს დასჯერდა.

საგულისხმოა, რომ ტურნირის მთავარი მსაჯი საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის ფარიკაობის პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონის, ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილი თათია აფციაური გახლდათ. სხვათა შორის, თათია პირველი ქართველი არბიტრია, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე იმსაჯა.

ბათუმელთა პრეზიდენტს ერთი წლით სტადიონზე შესვლა აეკრძალა

ბათუმის „დინამოს“ პრეზიდენტი, არჩილ ბერიძე ის კაცია, ვინც აჭარული კლუბი ფეხზე დააყენა და გასულ სეზონში, ისტორიაში პირველად, ოქროს მედლები მოაპოვებინა. ჩემპიონობისთვის აჭარული კლუბი ამ სეზონშიც იბრძვის და პირველობის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ლიდერ თბილისის „დინამოს“ 3 ქულით ჩამორჩება. დედაქალაქურ კლუბთან დაწევისა და გადასწრების შესაძლებლობა ბათუმელებს ორი კვირის წინ ჰქონდათ, როცა საკუთარ მოედანზე, წყალტუბოს „სამგურალი“ მიიღეს, თუმცა დამარცხდნენ. მატჩის შემდგომ, არჩილ ბერიძე მოედანზე შეიჭრა და პირდაპირ ვთქვათ – მსაჯებზე გაიწია. მას არბიტრთა ერთ-ერთი გადაწყვეტილება არ მოეწონა, რომელმაც შეხვედრის საბოლოო შედეგზე იმოქმედა. საბედნიეროდ, ბერიძე მსაჯებამდე არ მიუშვეს, თუმცა მისი ქმედება ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის განსჯის საგნად იქცა. დისციპლინარებმა კი იმსჯელეს და ჩვენი აზრით, ბერიძეს ზედმეტად მკაცრი სასჯელი გამოუტანეს, თუმცა არა მხოლოდ ბერიძეს. აი, რა წერია სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის განცხადებაში:

„ბათუმის „დინამო“ მომდევნო მატჩს მაყურებლის გარეშე გამართავს და დაეკისრა ფულადი ჯარიმა – 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

ბათუმის „დინამოს“ პრეზიდენტს, არჩილ ბერიძეს დაეკისრა ფულადი ჯარიმა – 6 000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით და ერთი წლის განმავლობაში აეკრძალა სტადიონზე შესვლა ბათუმის „დინამოს“, როგორც საშინაო, ისე საგარეო მატჩებზე.

ბათუმის „დინამოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, გურამ ბერიძეს დაეკისრა ფულადი ჯარიმა – 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით და 6 მატჩით აეკრძალა სტადიონზე შესვლა ბათუმის „დინამოს“, როგორც საშინაო, ისე საგარეო მატჩებზე.

ბათუმის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს, დავით ჯანელიძეს – სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა – 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ბათუმის „დინამოს“ გულშემატკივართა მეკავშირე ოფიცერს დაეკისრა ფულადი ჯარიმა – 200 (ორასი) ლარის ოდენობით“.

ირანელმა ფეხბურთელებმა მოედანზე მდუმარე აჯანყება მოაწყვეს

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე დღეს, ირანის ეროვნული ნაკრები ინგლისს შეხვდა და უშანსოდ, 6:2 დამარცხდა. თუმცა, შეხვედრის დასრულების შემდგომ, ირანელი ფეხბურთელები გულშემატკივრებმა ოვაციებით გააცილეს. ეს იმის გამო კი არა, რომ მათ კარგად ითამაშეს, არამედ იმიტომ, რომ შეხვედრის დაწყებამდე, მდუმარე ჯანყი მოაწყვეს.

საქმე ის გახლავთ, რომ ირანში საპროტესტო აქციები გრძელდება, რომელსაც ხელისუფლება სისხლში ახშობს და პატარა ბავშვების მოკვლასაც არ ერიდება. გამოითქვა მოსაზრება, რომ პროტესტს სპორტსმენებიც უნდა შეუერთდნენ და არცერთ ღონისძიებაზე ეროვნული ჰიმნი არ იმღერონ. როგორც კი ეს ხელისუფლების ზედა ეშელონებში გაიგეს, მაშინვე გააფრთხილეს ყველა ფედერაცია, რომ ის სპორტსმენი, რომელიც პროტესტის ნიშნად ჰიმნს არ შეასრულებდა, ეროვნულ ნაკრებს, თავისუფლებას და სპორტულ კარიერას ერთდროულად დაასრულებდა.

ამიტომ, ყველა ელოდა, რომ ირანელი ფეხბურთელები იმღერებდნენ, მაგრამ არა – 11-ვე მოთამაშე მდუმარედ, კრიჭაშეკრული იდგა და ამ ჟესტით, მათ პროტესტანტებს სოლიდარობა გამოუცხადეს. ახლა ამბობენ, რომ სამშობლოში დაბრუნებულ ფეხბურთელებს, შესაძლოა, სასამართლო გარჩევები არ ასცდეთ, მაგრამ... მათ გარისკეს და ყველაფერზე მაღლა ღირსება დააყენეს.

რა მომაკვდინებელ დაავადებებს იწვევს ელექტროსიგარეტი და ე.წ. გახურებადი თამბაქო

ანი სარდლიშვილი

თამბაქოს მოხმარება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოდგენს. მოწევისგან გამოწვეული სხვადასხვა სახის დაავადება, ხშირად, ადამიანისთვის ლეტალურად მთავრდება. ნებისმიერი სახის მავნე ქიმიური ნივთიერების მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თამბაქოს ხშირი მომხმარებელია და მიუხედავად იმისა, რომ სიგარეტი საკმაოდ ძვირია, მწეველთა რიცხვი მაინც არ მცირდება. პიროვნება, რომელიც იწყებს მოწევას, აუცილებლად ყალიბდება თამბაქოზე დამოკიდებულად. მოწევის დაწყება საკმაოდ მარტივია, მოწევისთვის თავის დანებება კი პირიქით – რთული. ადამიანები სიგარეტისთვის თავის დასანებებლად ახალ-ახალ მეთოდებს იყენებენ და მას სხვადასხვა სახის ელექტროსიგარეტებით ანაცვლებენ. ბოლო წლებში, ძალიან პოპულარულია ელექტრონული სიგარეტი და გახურებადი თამბაქო. რა არის ელექტრონული სიგარეტი და რამდენად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის? – „ვერსია“ „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელ გიორგი ბახტურიძეს ესაუბრა.

ინტერვიუ, რომელიც ყველა მწეველმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს

– ბატონო გიორგი, რა სახის ზიანი შეიძლება მოუტანოს ელექტრონულმა სიგარეტმა ადამიანს?

– არ მინდა სხვადასხვა ტიპის თამბაქოს პროდუქტის დიფერენცირება, რადგან არცერთი მათგანი უსაფრთხო არაა ჯანმრთელობისთვის. თამბაქოს კვამლი, ელექტრონული სიგარეტის ორთქლი და გასახურებელი თამბაქოს აეროზოლი შეიცავს, როგორც ტოქსინებს, ასევე, კანცეროგენებს ანუ მომწამვლელ, კიბოს გამომწვევ ქიმიურ ნივთიერებებს. მსოფლიოში არცერთ მეცნიერს არ დაუდგენია ტოქსინების და განსაკუთრებით, კანცეროგენების უსაფრთხო დოზა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, შესაბამისად, ეს პროდუქტები სიცოცხლისთვის ძალიან საშიშია!

თამბაქოს მავნეობასთან დაკავშირებით, ბევრი კვლევა ჩატარდა და დადგინდა 90%-იანი კავშირი ფილტვის კიბოსა და თამბაქოს მოხმარებას შორის. ელექტრონული სიგარეტის შემთხვევაში, შესაძლოა, უფრო მეტი რისკიც იყოს. 2019 წელს, გაჩნდა ახალი ტიპის დაავადება – „ევალი“, რაც ელექტრონული სიგარეტისა და „ვეიპინგისგან“ გამოწვეული ფილტვის დაზიანებაა. 2019 წელს, აშშ-ში დაფიქსირდა რამდენიმე ასეული შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვნები, კერძოდ, 16-დან 19 წლამდე მოზარდები მოხვდნენ კლინიკებში, ფილტვის დაუდგენელი დაზიანებით. როდესაც დადგინდა, რისგან შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული დაავადება, დაასკვნეს, რომ ეს ელექტრონული სიგარეტების სითხეებში გარეული სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების, მათ შორის, მარიხუანას ექსტრაქტები იყო, რამაც გამოიწვია ფილტვის სწრაფი დაზიანება და რამდენიმე დღეში, ლეტალური შედეგიც კი დადგა – რამდენიმე პაციენტი გარდაიცვალა. მონაცემების მიხედვით, ევროპაში ახლა სწორედ ამის ბუმია, ასევე, წამოვიდა რუსეთისკენაც და საკმაოდ გავრცელდა ეს დაავადება. გვაქვს ეჭვი, რომ ელექტრონული სიგარეტის მოხმარება საქართველოში, ბოლო თვეების განმავლობაში, გაიზარდა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში და არის მოლოდინი, რომ ასეთი უმძიმესი შედეგები დადგება ჩვენს ქვეყანაშიც.

– ზოგადად, რა არის ელექტროსიგარეტი და რით განსხვავდება ჩვეულებრივი სიგარეტისგან?

– ელექტროსიგარეტებში 15 000-მდე ქიმიური დანამატი, ე.წ. არომატიზატორია შემუშავებული. ელექტროსიგარეტი ნიკოტინის ელექტრონულად მიწოდების სისტემაა, სადაც თხევადი სახითაა წარმოდგენილი ნიკოტინი და ასევე, სხვადასხვა დანამატები. ყველაფერი ეს, იხსნება გლიკოლსა და გლიცერინში, ოღონდ ცივი სახით, რომელიც გამოიყენება სამედიცინო მიმართულებით, მაგრამ როდესაც ელექტრონული სიგარეტი სითხის აპარატით ხურდება, ამ შემთხვევაში, თითქოს უვნებელი გლიცერინი გარდაიქმნება კანცეროგენად, ან ტოქსინად. შესაბამისად, ეს უკვე საშიში ქიმიური ქარხანაა, რომელიც სერიოზულ ზეგავლენას ახდენს, როგორც მწეველებზე, ასევე, მათ გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. რაც შეეხება ჩვეულებრივ თამბაქოს, გამოკვლეულია 7000-მდე ქიმიური ნივთიერება, აქედან 250 ტოქსიურია, 250-დან 70-მდე – კანცეროგენი. ფაქტობრივად, არ არსებობს ორგანო ან ორგანოთა სისტემა, რომელსაც ეს ქიმიური, ყოველდღიური ზემოქმედება არ აზიანებდეს და არ აყენებდეს სავალალო შედეგს.

– გასახურებელი თამბაქოს ერთ-ერთი პროდუქტი საკმაოდ პოპულარულია საქართველოში, რომელიც ჩეულებრივი სიგარეტის ჩანაცვლების ალტერნატივას წარმოადგენს. რით განსხვავდება, თუნდაც, ელექტროსიგარეტისგან და რამდენად საშიშია მისი გამოყენება?

– თვითონ სიტყვა გვეუბნება, რომ ეს არის თამბაქოს პროდუქტი. თუ ელექტრონულ სიგარეტში სითხის სახითაა ქიმიური დანამატები და ნიკოტინი, გასახურებელი თამბაქოს შემთხვევაში, ჩვეულებრივი თამბაქოს ნაწარმი გვაქვს, რომელიც ქიმიურადაა დამუშავებული ანუ ქიმიური დამუშავების შედეგად აღარ იწვის და მხოლოდ ხურდება, თანაც, 270-დან 350 გრადუსამდე. 110-120 გრადუსის შემდგომ, თამბაქოს ახალი ტიპის ნაწარმი გარდაიქმნება ტოქსინებად და კანცეროგენებად. ეს თამბაქო არის სპეციალურად დამუშავებული და აღმოჩნდა, რომ მის გამონაბოლქვში გვხვდება ახალი ტიპის ტოქსინები, რაც საერთოდ არ ფიქსირდება თამბაქოს ნაწარმში. გარდა ამისა, მასში კონცენტრირებულია ნიკოტინი, მწარმოებელი კი ამბობს, რომ ნიკოტინის შემცველობა 0.5 მილიგრამია, მაგრამ როდესაც ფრანგმა მეცნიერებმა გაზომეს, აღმოჩნდა, რომ შემცველობა 4.1 მეათედს უდრის, რაც ნიშნავს, რომ 8-ჯერ მეტია ნიკოტინი! ასეთი შემცველობა იწვევს უფრო ძლიერ დამოკიდებულებას და უფრო მეტად მიჯაჭვულს ხდის ადამიანს.

რაც შეეხება გამონაბოლქვს, ზოგიერთი ტოქსინი და კანცეროგენი ნაკლები კონცენტრაციით გვხვდება, მაგრამ 56 ტოქსინისა და კანცეროგენის შესახებ ინფორმაცია დამალა კომპანია „ფილიპ მორისმა“, რომელიც ამ პოპულარულ გასახურებელ თამბაქოს პროდუქტს აწარმოეს და ეს დაადასტურეს ამერიკელმა მეცნიერებმა. ამ 56-დან, 22-ის კონცენტრაცია ორჯერ აღემატებოდა იმ კონცენტრაციას, რაც თამბაქოს კვამლშია. ამ ფონზე, რომელი ზიანის შემცირებაზე ვსაუბრობთ?..

გასულ წელს, ინტენსიურად ცდილობდა ეს ინდუსტრია, რომ უკანონო მარკეტინგით მოეხდინა მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დაპყრობა. ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას, რომ ეს არის ზიანის შემცირების პროდუქტი, მაგრამ ნაკლები საფრთხეების შემცველობა ვერ დგინდება იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს უსაფრთხო დოზა. როგორ შეიძლება, ყოველდღიურად მიიღოს ადამიანმა ტოქსინი და კანცეროგენი ისე, რომ უჯრედის გადაგვარებას არ შეუწყოს ხელი? შესაბამისად, რისკი მაღალია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ამბობს, რომ ეს ნაწარმი, რომელიც არ იწვის და მხოლოდ ხურდება, უფრო მეტი საშიშროების მომტანია, ვიდრე ჩვეულებრივი თამბაქოს მოხმარება.

– სიგარეტისგან განსხვავებით, დასაშვებია თუ არა გახურებადი თამბაქოს მოხმარება დახურულ სივრცეში?

– რა რეგულაციებიცაა ჩვეულებრივ თამბაქოსთან დაკავშირებით, ყველაფერი ვრცელდება ელექტრონულ და გასახურებელ თამბაქოს პროდუქტებზეც, თუ ვინმე დახურულ სივრცეში ამ პროდუქტებს, სადაც მოწევა აკრძალულია, იცოდეთ, რომ ეს უკანონო ქმედებაა. სხვათა შორის, რამდენიმე ათეული შემთხვევა უკვე გამოვავლინეთ კიდეც. ზოგჯერ, ამგვარ დარღვევას ხელს უწყობს ობიექტი და ამ შემთხვევაში, ობიექტები ჯარიმდებიან, რადგან დაწესებულება უპირველესი პასუხისმგებელია, რომ მის სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც მოწევა აკრძალულია, არ დაუშვას დარღვევა. თუ ნახევრად ღიაა შენობა, იქ მოწევა დაშვებულია, გარდა სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სადაც არა მხოლოდ შენობაში, არამედ, ტერიტორიაზეც აკრძალულია თამბაქოს მოხმარება.

– ბოლოს, რამდენად საზიანო შეიძლება იყოს ე.წ. სიგარეტის ალტერნატივა პასიური მწეველებისთვის ანუ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სუნთქავენ გასახურებელი თამბაქოს გამონაბოლქვს?

– როგორც გითხარით, აეროზოლები შეიცავენ ტოქსიკურ და კანცეროგენულ ნივთიერებებს და შესაბამისად, ირგვლივ მყოფი ადამიანების სიცოცხლისთვის საფრთხე არსებობს. ამიტომაა აკრძალული მოწევა საზოგადოების თავშეყრის ადგილებსა და ტრანსპორტში. რისკი მაღალია და უსაფრთხო ნამდვილად არ არის გარშემომყოფებისთვის. FDA-მ, 2020 წლის 7 ივლისს, მიიღო გადაწყვეტილება და დროებით მიანიჭა გასახურებელ თამბაქოს მოდიფიცირებული პროდუქტის სტატუსი, რასაც არასწორად, მარკეტინგის კუთხით იყენებს „ფილიპ მორისი“. სხვათა შორის, იგივე FDA-მ იქვე მიუთითა, რომ ეს არ არის ჯანმრთელობისთვის ნაკლებად ზიანის მომტანი პროდუქტი. არსებობს ათეულობით ქვეყანა, რომლებსაც გასახურებელი თამბაქოსა და ელექტრონული სიგარეტის წარმოება და იმპორტი აკრძალული აქვთ. შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა, საქართველო გამოცხადდეს ამ პროდუქტებისგან თავისუფალ ქვეყანად, გვინდა, ჩვეულებრივი თამბაქოს მოხმარება მაქსიმალურად შეიზღუდოს და ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანის გამო, თამბაქოს ინდუსტრიებს კომპენსაციები დაეკისროს. რიცხობრივად, ყოველწლიურად, 11 000 ადამიანი კვდება თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით, წარმოიდგინეთ, ეს არის ყოველი მეხუთე ადამიანი. სტატისტიკა გვიჩვენებს, რამდენად ლეტალური შედეგის მიყენება შეუძლია თამბაქოს მოხმარებას.

ბროწეული კიბოს უჯრედებს ებრძვის

სწავლულები აცხადებენ, რომ ახალი ბროწეული ან მისი წვენი ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მდიდარი საბადოა, რომელიც ეფექტიანად ებრძვის ანთებით პროცესებს. სწორედ ეს ანთებითი პროცესები ახდენენ გავლენას ორგანიზმში უჯრედების საშიშ ტრანსფორმაციაზე, რომლის შედეგადაც, ხშირად ავთვისებიანი სიმსივნე ყალიბდება. ბროწეულის წვენში არსებული ნივთიერებები აფერხებენ კიბოს უჯედების გამრავლების პროცესს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათ სიკვდილსაც იწვევენ, – აცხადებენ მკვლევარები. მათი თქმით, ბროწეულში არსებული ნაერთები ებრძვიან ანთებით პროცესებს კუჭში და ასევე, პირის ღრუში. გარდა ამისა, ისინი ეფექტიანად მოქმედებენ სახსრების ანთებითი პროცესების შემცირებაზე და ამგვარად, სასარგებლოა ართრიტის პროფილაქტიკისთვის.

მინისტრის კლონი შექმნეს

ამომავალი მზის ქვეყანაში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, ქვეყნის ადმინისტრაციული რეფორმებისა და მართვის საქმეთა მინისტრის, ტარო კანოს რობოტიზებული ორეული შექმნა. ორეული, ეგრეთ წოდებულ, კიბერნეტიკულ ავატარს წარმოადგენს, რომელიც კონკრეტული ადამიანის არა მხოლოდ რობოასლია, არამედ, მისი საუკეთესო ვერსიაა – განახლებული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებით. ცნობილია, რომ მინისტრ კანოს შეუძლია საკუთარი ასლი დისტანციურად მართოს. ეს მას საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმიანობაში ისე, რომ ფიზიკურად არ იმყოფებოდეს კონკრეტულ ადგილზე.

ფანქრები ძველი გაზეთებისგან

კენიაში, ერთ-ერთმა ადგილობრივმა კომპანიამ, რომელსაც ორი ძმა ხელმძღვანელობს, ძველი გაზეთებისგან ფანქრების წარმოება დაიწყო. საწარმოს თანამშრომლები გაზეთებს საჭირო სიგრძეზე ჭრიან, შიგნით გულებს დებენ და ახვევენ. იმ დროს, როცა მთელ მსოფლიოში ბეჭდური მედიის მკითხველთა რაოდენობა უსწრაფესად მცირდება, ამ აფრიკულ ქვეყანაში პირიქით – მათი რაოდენობა იზრდება, რადგან მოსახლეობის 40%-ს არ აქვს წვდომა ინტერნეტსა და ტელევიზიაზე, ამიტომ ახალ ამბებს ისინი გაზეთებიდან იგებენ. ამ მიზეზით იზრდება გაზეთების რაოდენობაც, რომლებიც მერე ნაგავსაყრელზე ხვდებიან. ძმებმა ომარებმა ამ ნაგვის შემცირება გადაწყვიტეს, შემოსავლის წყაროც გაიჩინეს და ქველმოქმედებასაც ეწევიან. გაზეთის ორი გვერდიდან სამი ფანქარი გამოდის, თუმცა საბოლოო სახემდე, დამუშავების ცხრა ეტაპს გადის. მზა პროდუქციის ყოველი პარტიიდან ფანქრების ნაწილი ბავშვებს ურიგდებათ, ღარიბი რაიონებიდან.

დღეგრძელობის საიდუმლო ტეკილაშია

ასეთ დასკვნას ამერიკელი ხანდაზმული ქალბატონი, მერი ფლიპსი აკეთებს, რომელსაც ცოტა ხნის წინ, 101 წელი შეუსრულდა. მისი აზრით, ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება... ტეკილას დამსახურებაა. 15 წლის ასაკში, მერიმ ოჯახის ყველა წევრი დაკარგა. 18 წლისა, საცხოვრებლად ჩიკაგოდან მექსიკაში გადავიდა და ტეკილასაც სწორედ იქ დაუმეგობრდა. 1921 წელს დაბადებული ფლიპსი ისეთ მოვლენებს მოესწრო, როგორებიცაა დიდი ამერიკული დეპრესია, რამდენიმე ომი, ადამიანის მთვარეზე გაფრენა და ტექნოლოგიური რევოლუცია. მერიმ აღზარდა ექვსი შვილი, მექსიკიდან ისევ სამშობლოში დაბრუნდა და მხატვარი გახდა. 101 წლის იუბილე ქალმა ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნა და მათთან ერთად ისე იმხიარულა, მაგიდაზე ცეკვის სურვილიც კი გაუჩნდა. იქნებ, იცეკვა კიდეც, ჭიქა ტეკილას შემდეგ...

შუმახერის „ფერარი„ აუქციონზე გაიყიდა

გერმანელი მიხაელ შუმახერის ბოლიდი „ფერარი“, რომლითაც მან მეექვსედ მოიპოვა „ფორმულა-1“-ის ჩემპიონის ტიტული, შვეიცარიაში აუქციონზე გაიყიდა. ჟენევაში გამართულ „სოთბის“ ვაჭრობაზე, ავტომობილი თანამედროვე „ფორმულა-1“-თვის რეკორდულ ფასად – 13 მილიონ ფრანკად გაიყიდა. თავდაპირველად, ლოტის ღირებულება 7.5 მილიონად შეფასდა, ექსპერტები ბოლიდში მაქსიმუმ 9.6 მილიონის მიღებას ვარუდობდნენ, თუმცა ვაჭრობის დროს, შუმახერის ავტოს ფასი, პრაქტიკულად, გაორმაგდა.

ჯანმრთელობისთვის ობობები მოაშენა

ნისლიან ალბიონზე, ქალაქ ბრისტოლში მცხოვრებმა მამაკაცმა საკუთარი ფსიქოთერაპევტის რჩევა გაითვალისწინა და სახლში 300 ობობა-ტარანტული მოაშენა. მედიკოსებმა აარონ ფინიკს ბიპოლარული აშლილობის დიაგნოზი დაუსვეს და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის რამე გასართობის მოძიება ურჩიეს. ამჟამად, ბრიტანელის ობობების კოლექცია უკვე 300 ეგზემპლარს ითვლის. აარონს ყველაზე მეტად მექსიკური ტარანტულა უყვარს, რომლის ღირებულებაც 160 გირვანქა სტერლინგია. მამაკაცს მათზე საათობით დაკვირვება სიამოვნებას ანიჭებს და საოცარ ეფექტს ახდენს. ის მთელ თავისუფალ დროს მათთან ატარებს.

მკვახე ბანანი კიბოსგან იცავს?



საჭმლის მომნელებელი ტრაქტის კიბოს განვითარების რისკის შესამცირებლად, დღეში ერთი მწვანე ბაბანის მირთმევაც საკმარისია, – ასეთ დასკვნებს აკეთებენ სწავლულები, ნიუკასლისა და ლიდსის უნივერსიტეტებიდან. მკვახე ბანანი, სიმინდისა და შვრიის ფანტელი, მოხარშული ცივი კარტოფილი, მაკარონი, ბრინჯი, ცეხვილი პური, პარკოსნები რეზისტენტულ სახამებელს შეიცავს. ასეთი სახამებელი არ იწოვება წვრილ ნაწლავში და მსხვილ ნაწლავამდე აღწევს, სადაც სასარგებლო ბაქტერიებისთვის საკვებ ნიადაგად გვევლინება. სახამებლის დამცავი ეფექტი საერთაშორისო კვლევების ფარგლებში გამოვლინდა, 1000 პაციენტზე ჩატარებული ექსპერიმენტებით, რომლის დროსაც რეზისტენტული სახამებლის 30 გრამ ფხვნილს იყენებდნენ (ერთ მწვანე ბანანში არსებული რაოდენობა). მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სახამებელი 60%-ით ამცირებდა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზედა ნაწილის – საყლაპავის, კუჭის, ნაღვლისგამოყოფი გზების, თორმეტგოჯა ნაწლავის ონკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ეფექტი სახამებლის მიღების შეწყვეტიდან, 10 წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა.

ვერტიკალური ფერმები ზაფრანასთვის

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ქალაქ შარჯაში, კომპანია Veggitech-მა, მსოფლიოში ყველაზე ძვირი სანელებლის, ზაფრანას მოყვანა ულტრათანამედროვე, ვერტიკალურ ფერმებში გადაწყვიტა. მცენარის მოყვანის სამეწარმეო ციკლი სამ თვეს გრძელდება – აგვისტოდან ნოემბრამდე, რის შემდეგაც ზაფრანას ბოლქვები სათბურში გადადის, შემდგომ ცხრა თვეს კი ფერმებში ეგზოტიკური სოკო მოჰყავთ. ჭკვიანი ფერმა საშუალებას იძლევა, უფრო ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა კულტურები მოიყვანონ, ყოველგვარი სასუქისა და პესტიციდების გარეშე. ვერტიკალურ ფერმებს მიწაც ნაკლები სჭირდება და წყალსაც მინიმალური რაოდენობით მოიხმარს. კომპანიაში დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი მიდგომით, საემიროების სასურსათო უსაფრთხოებას გაზრდიან და მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სუნელის ფასიც საგრძნობლად შემცირდება.



დახვეწილი სამზარეულო ძაღლებისთვის

აშშ-ში, სან-ფრანცისკოში, დახვეწილი კერძების რესტორანი გაიხსნა ოთხფეხა მეგობრებისთვის. დაწესებულებას, რომელიც ქალაქის პრესტიჟულ რაიონში მდებარეობს, Dogue უწოდეს, მოდების ჟურნალის Vogue-ს მსგავსად. რესტორანში, ძაღლის მფლობელებს შეუძლიათ, შეუკვეთონ დახვეწილი კერძები – ფილე-მინიონი მწყრის კვერცხით, ირმის, ანტილოპას, იხვის ხორცით. შეგიძლიათ, თქვენს ოთხფეხა მეგობრებს, აქ ნამცხვრებიც დააგემოვნებინოთ. კუდქიცინა კლიენტებს შეფ-მზარეული რაჰმი მასარვეხი მასპინძლობს და რესტორანიც მისი საკუთრებაა. ეს მდიდრული კერძები, რასაკვირველია, იაფი არ ჯდება – რამდენიმე კერძისგან შემდგარი სადეგუსტაციო მენიუ 75 დოლარი ღირს. მზარეულის თქმით, ანალოგიური მენიუ ადამიანებისთვის, შესაძლოა, 500 დოლარი ღირდეს. საყვარელ ოთხფეხა მეგობრებს, ამ რესტორანში, პატრონები დაბადების დღეებსაც უხდიან.

სმენას იმპლანტის გარეშე აღადგენენ

ბიოტექნოლოგიური კომპანია – Frequency Therapeutics, ცდილობს, სმენა აღუდგინოს ადამიანებს, ოღონდ სმენის აპარატებისა და იმპლანტების გარეშე. სპეციალისტები ამას რეგენერაციული თერაპიის ახალი სახეობით აპირებენ. კომპანია უჯრედების დასაპროგრამებლად მცირე მოლეკულებს იყენებს – შიდა ყურის ღეროვანი უჯრედების შთამომავლებს, რომლისგანაც მომცრო უჯრედები იქმნება – სწორედ ისინი გვაძლევენ მოსმენის საშუალებას. ეს უჯრედები მაღალი ხმების ან წამლების ზემოქმედებით კვდებიან. პრეპარატი, რომელიც კომპანიამ შეიმუშავა, ამ უჯრედების აღსადგენად ყურში შეჰყავთ. კლინიკური ცდებისას, ახალი მეთოდით უკვე შეძლეს პაციენტებისთვის სმენის გაუმჯობესება.

ინდოეთში სპილოები გამოთვრნენ

ინდოეთში, ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებს, დილით უჩვეულო სანახაობა დახვდათ: მათი სპირტიანი სასმელის ჭურჭელი ცარიელი და გატეხილი იყო, შორიახლოს კი ოცამდე სპილოს ეძინა. ადგილობრივების თქმით, ცხოველებმა ტყის პირას დალაგებული ჭურჭელი იპოვეს, რომელშიც მოსახლეობა ტრადიციულ სასმელს – მაჰუას ამზადებდა. მთვრალ სპილოებს ისე ღრმად ეძინათ, რომ მათი გონზე მოყვანა გაუჭირდათ. ადგილობრივებმა და გარემოსდამცველებმა სპილოების გასაღვიძებლად დასარტყამი ინსტრუმენტები გამოიყენეს, ამ ხმაზე ცხოველებს გაეღვიძათ და გაიქცნენ. სპეციალისტების თქმით, მაჰუას გემო სპილოებს ძალიან მოსწონთ, სასმელის სუნს შორ მანძილზეც კი გრძნობენ და მისკენ მიდიან. ცხოველების გამოთრობა ხშირად ფატალურად სრულდება. ამჯერად, ალკოჰოლის მოყვარული სპილოები სიკვდილს გადაურჩნენ.

ევროპას ანომალურად თბილი ზამთარი ელის



დიდ ბრიტანეთსა და ევროპის ნაწილს, დეკემბრიდან თებერვლამდე, ანომალურად თბილი ამინდი ელის, – აცხადებენ ევროკავშირის კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სამსახურის (Copernicus) თანამშრომლები. მათი თქმით, ამ ზამთარს ევროპაში ჰაერის ტემპერატურა ისტორიულ მაჩვენებელზე მაღალი იქნება და ნალექების რაოდენობა შემცირდება. პროგნოზის მიხედვით, ბალტიის ზღვის, ხმელთაშუა და ჩრდილოეთის ზღვების სანაპირო რაიონები ზამთრისთვის საშუალოზე მაღალ ტემპერატურას უნდა ელოდონ. საფრანგეთსა და გერმანიაში, ჩვეულებრივზე გაცილებით ნაკლები ნალექი მოვა. ეს, ერთი მხრივ, უკეთესი იქნება, რადგან ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა შემცირდება.

სმარტფონებს ტროტუარი მუხტავს

ინგლისის ქალაქ ტელფორდში, ჭკვიანი გასაბერი ტროტუარი გახსნეს. ის ელექტროენერგიას ადამიანების ნაბიჯებით გამოიმუშავებს, თანაც იმდენს, რომ შეუძლია, ენერგიის ორი, ახლომდებარე დამტენი სადგური უზრუნველყოს, რომლებიც სკამებშია ჩამონტაჟებული. ტროტუარი რეზინისა და უჟანგავი ფოლადის ფილებისგან შედგება, რომელთაც საათში 2.1 ვატი ენერგიის წარმოება შეუძლიათ. ყოველი ფილა, დაახლოებით, 5 მილიმეტრით იღუნება, როცა მასზე დადიან. ეს ქმნის კინეტიკურ ენერგიას, რაც შემდეგში ელექტროენერგიად გარდაიქმნება. ტროტუარი ქალაქში იმ ადგილებში დააგეს, სადაც ინტენსიურად მოძრაობენ ფეხით მოსიარულეები.

ანანასისგან პლასტმასა მიიღეს

ესპანელმა სწავლულებმა, ალიკანტეს უნივერსიტეტიდან, შეძლეს ახალი მასალის მიღება ანანასის ნარჩენებიდან, როგორც რბილობიდან, ასევე, ქერქიდან. მათ პლასტმასასმაგვარი მასალა მიიღეს, რომელიც აქტიურ ბუნებრივ ნაერთებს შეიცავს და ანტიოქსიდანტური ეფექტი ახასიათებს. ასეთი მასალისგან შექმნილ კონტეინერში პროდუქტების შენახვის ვადა გაიზრდება. ექსპერტები ახლა ცდილობენ, მასლას არომატის გამძლიერებელი ნაერთებიც დაუმატონ, რომელსაც ასევე ანანასისგან მიიღებენ. მათი აზრით, ადამიანისთვის სასიამოვნო იქნება, პროდუქტების შესანახად ასეთი მასალა გამოიყენოს. სწავლულების წყალობით, ანანასის ნარჩენებსაც „ახალი სიცოცხლე“ მიეცემა, მით უმეტეს, რომ ის პროდუქტის წონის თითქმის ნახევარს შეადგენს.

გულის დაავადებებს ხმით ამოიცნობენ

აშშ-ს მეიოს კლინიკის მკვლევარები ვარაუდობენ, რომ გულსისხლძარღვთა დაავადების მქონე პირებში, გულის შეტევის რისკის ამოცნობა მათი ლაპარაკის მიხედვით შეიძლება. საუბარია კომპიუტერულ ალგორითმზე, რომელიც პაციენტების ხმების ჩანაწერის მიხედვით გამოთვლის, ვინ არის უფრო სერიოზული რისკქვეშ. ალორითმმა გააანალიზა ადამიანის ხმის 80-ზე მეტი მაჩვენებელი, მათ შორის, სიმაღლე, ინტონაცია, ცვლილებები სიხშირესა და ტონში – ისიც კი, რაც ადამიანის ყურისთვის შეუმჩნეველია. რა გავლენას ახდენს გულის მდგომარეობა ხმაზე, სწავლულებს ჯერ არ დაუდგენიათ, თუმცა მათი ვარაუდით, ეს ნერვულ სისტემას უკავშირდება. კვლევისას მედიკოსებმა, 108 პაციენტს, რომელთა ასაკი 60 წლის ფარგლებში იყო და სავარაუდოდ, გულის იშემიური დაავადება ჰქონდათ, სმარტფონზე სამი პატარა ხმოვანი ჩანაწერის გაკეთება სთხოვეს. თითოეული ჩანაწერი ალგორითმმა შეამოწმა და მაღალი რისკქვეშ მყოფები გამოავლინა. ამ პაციენტებზე კიდევ ორი წლის დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ ალგორითმით მონიშნული პაციენტების 60%, ამ ორი წლის განმავლობაში, გულის შეტევით მოხვდა კლინიკაში.

ჰარისა და მეგანთან ვახშამს ყიდიან

პრინცი ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი მონაწილეობას მიიღებენ საქმელმოქმედო ვახშამში. მათ მაგიდასთან დაჯდომის მსურველებისთვის ბილეთები გაიყიდება, რომლის ფასიც ერთი მილიონი დოლარია. დეკემბრის დასაწყისში, ნიუ-იორკში შედგება ცერემონია „იმედის პულსი“, რომლის ფარგლებშიც, სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია ჯილდოს მიიღებენ საქველმოქმედო საქმიანობისთვის და ადამიანის უფლებების დაცვაში საკუთარი წვლილის შეტანისთვის. ცერემონიის შემდეგ კი ვახშამი გაიმართება, სადაც მაყურებელს ღონისძიების საპატიო სტუმრებთან გასაუბრების შესაძლებლობა ექნება. ბილეთების ფასი 500 ათასი დოლარიდან იწყება – ამ ფასში შედის ფოტოს გადაღება პრინც ჰარისთან და მის მეუღლესთან. ბილეთის მაქსიმალური ფასი კი მილიონი დოლარია, რომელიც მეგანისა და ჰარის მაგიდასთან ოთხ ადგილს ითვალისწინებს.

ხორცისმჭამელები დიდხანს ცოცხლობენ

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა ხორცის მოხმარებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის კავშირი შეისწავლა. სწავლულებმა ავსტრალიიდან, იტალიიდან, შვეიცარიასა და პოლონეთიდან მსოფლიოს 175 ქვეყნის მცხოვრებლების მონაცემები გააანალიზეს. მათი თქმით, ხორცის ჭამასა და დაავადებებს შორის ირიბი კავშირი არსებობს, რაც ბოლო 50 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით გამოიკვეთა და რამაც საფუძველი ჩაუყარა ვეგეტარიანებლობასა და ვეგანობას. არსებობს მოსაზრებაც, რომ ვეგეტარიანელები სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩევიან. მკვლევართა ჯგუფმა ეს ჰიპოთეზა შეამოწმა და აღმოაჩინეს, რომ ნახშირწყლოვანი კულტურებიდან (მარცვლეული და ბოლქვიანები) ენერგიის მოხმარება არ იწვევს სიცოცხლის გახანგრძლივებას, პირიქით, ხორცის ზომიერი მოხმარება უფრო უკავშირდება დღეგრძელობას. ადამიანი ხორციან საკვებს მიჩვეულია და მას თითქმის ორი მილიონი წელია მოიხმარს, – აცხადებენ მკვლევარები. ნახშირწყლოვან პროდუქტებს კი გაცილებით ნაკლები კვებითი ღირებულება აქვს, ვიდრე ხორცს. ხორცში არსებული კომპონენტები ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობას.

მოცვი გულსაც იცავს

ლონდონის სამეფო კოლეჯის სწავლულების ახალი კვლევების მიხედვით, მოცვი საიმედო დამხმარეა გულსისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, 200 გრამი მოცვის მიღება აუმჯობესებს სისხლძარღვების მუშაობას და აქვეითებს სისხლის წნევას. ეს ყველაფერი ერთად კი 20%-ით აქვეითებს გულის პრობლემების წარმოშობის რისკს. ასეთი დასკვნები სპეციალისტებმა 40 ჯანმრთელ ადამიანზე დაკვირვებისას გააკეთეს. მათი თქმით, თავისი მოქმედებით, ეს კენკრა ისეთივე ეფექტური შეიძლება იყოს, როგორც ექიმების გამოწერილი წნევის დამწევი წამლები. მოცვის სასიკეთო გავლენა მის შემადგენლობაში არსებული ანტოციანებითაა განპირობებული – სწორედ ის აძლევს მოცვს დამახასიათებელ ლურჯ შეფერილობას.

კანფეტებს მარიხუანათი გამოუშვებენ

ლეგენდარული სპორტსმენები, მსოფლიოს აბსოლუტური, ყოფილი ჩემპიონები კრივში – მაიკ ტაისონი და ევანდერ ჰოლიფილდი ტკბილეულობას გამოუშვებენ. მოკბეჩილი ყურის ფორმის მარმელადის კანფეტებში მარიხუანაც იქნება. პროდუქციას Holy Ears – „მინდა ყურები“ ერქმევა და ის არიზონას, ილინოისის, ნევადასა და ნიუ-ჯერსის შტატებში გაიყიდება. ტაისონისა და ჰოლიფილდის სკანდალური ბრძოლა 1977 წელს შედგა და ის დროზე ადრე, მესამე რაუნდში დასრულდა, რადგან ტაისონმა მოწინააღმდეგეს ყური მოაჭამა. ამის გამო, მაიკს დისკვალიფიკაცია მისცეს და სამი მილიონი დოლარითაც დააჯარიმეს. ჰოლიფილდს მაშინ რვა ნაკერის დადება დასჭირდა ყურზე.

ორგანოები ადამიანის უჯრედებისგან



დიდ ბრიტანეთში, სოუნსის უნივერსიტეტის სწავლულები 2.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს დახარჯავენ კვლევისთვის, როგორ გამოიყენონს ადამიანის უჯრედები და მცენარეული მასალა ცხვირისა და ყურების ხრტილის 3D-ბეჭდვისთვის. წარმატების შემთხვევაში, ამ ნოვატორულ მეთოდს გამოიყენებენ იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც სხეულის ამ ნაწილების გარეშე დაიბადნენ, ან დამწვრობის, ტრავმისა თუ ონკოდაავადების გამო დამახინჯდნენ. პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტების თქმით, სამგამზომილებიან პრინტერებს შეუძლიათ, დააჩქარონ ოპერაციები, პაციენტებს განწყობა გაუუმჯობესონ და ფინანსური ხარჯებიც შეუმცირონ ქირურგიულ განყოფილებებს. ახალი მეთოდის კლინიკური ცდები უახლოეს წლებში უნდა ჩატარდეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.